ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 29 მაისი 2007 №120 (3043) ფასი 50 თეთრი


# რევაზ ძოძუაშვილმა თავისი წასვლა სხვებისგან გაიგო



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

## ჩემპიონი ოლიმპი ახალ თავს ეძებს

# დღეს გერმანიაში ქართული სახლი იხსნება



## ტოპი ფრანკფურტში ბავშვით ჩადის

დღეს საქართველოს ნაკრები ლიტვასთან და საფრანგეთთან 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის მზადებას იწყებს. გეცოდინებათ, ჩვენები 2 ივნისს კაუნასში ლიტვას ეთამაშებიან, 6 ივნისს კი ოსერში საფრანგეთს ესტუმრებიან.

კლაუს ტოპმიოლერი და მისი რჩეული ფეხბურთელები ფრანკფურტში შეიკრიბებიან და ორივე მატჩზე იქიდან გაემგზავრებიან. უკვე ფრანკფურტშია მწვრთნელის თანაშემწე რალფ მინგე და სამი ფეხბურთელი: რუსთავის „ოლიმპის“ და ოდესის „ჩერნომორეცის“ მცველები, გიორგი ონიანი და გიორგი შაშიაშვილი და „ზესტაფონის“ მეკარე გრიგოლ ჭანტურია. ესენი კლაუს ტოპმიოლერს, სხვა ფეხბურთელებსა და ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებს ფრანკფურტის აეროპორტიდან 20 წუთის გზაზე მდებარე სასტუმრო „ჰოლიდეი ინში“ ელიან...

ჩვენი ეროვნული გუნდი ფრანკფურტში 31 მაისამდე მოემზადება, კაუნასში კი 1 ივნისს ჩავა და რვა საათზე „დარიუსის და გირენასის“ სტადიონზე ივარჯიშებს, სადაც მატჩი გაიმართება.

3 ივნისს ნაკრები ფრანკფურტში დაბრუნდება და 4-ში უკვე პარიზის გავლით ოსერს მიაშურებს.

კლაუს ტოპმიოლერი ბოლო ერთი კვირა შოტლანდიაში საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს ახლდა და ძმასთან, ჰაინცთან ერთად ქართველ ჭაბუკებს ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდში ათამაშებდა, დღეს კი ეროვნულ გუნდს ფრანკფურტში დახვდება. მწვრთნელი შოტლანდიიდან იტალიური „ემპოლის“ 17 წლის თავდამსხმელ ლევან მჭედლიძესაც იახლებს და მას მთავარი ნაკრების მატჩებისთვის მოამზადებს.

მოკლედ, ჩვენი გუნდი დღეს ფრანკფურტში სრული შემადგენლობით იქნება და ხუთ საათზე პირველ ვარჯიშსაც ჩაატარებს.

ისიც გეხსომებათ, რომ საქართველოს ლიტვა-საფრანგეთთან მატჩებში ვერ დაეხმარებიან შოთა არველაძე, მალხაზ ასათიანი და დავით სირაძე. ერთი სანაკრებო კარიერას ასრულებს, მეორეს უმძიმესი ტრავმის შემდეგ ჯერაც უთამაშებელია, მესამე კი ტრავმირებულია.

ვნახოთ...

# კალაძესა და შავ-წითლებს შორის შავი უკვე წაიშალა



## კახა და მილანი ერთმანეთს ჩაუტკბნენ

# კალაძე წასვლაზე არ მიდის

## კახა საქმეს მილანის ბოსებთან აგვარებს



იტალიური „ტუტოსპორტი" ირწმუნება, კახა კალაძის მსურველ გუნდებს რაფა ბენიტესის „ლივერპულიც" შეემატაო. ბოლო დღეებში ბევრი ითქვა იმის თაობაზე, რომ სავსებით შესაძლოა, საქართველოს ნაკრების კაპიტანი წავიდეს „მილანიდან", რადგან „როსონერის" თავკაცმა კარლო ანჩელოტიმ ჩვენიანს ძირითადი შემადგენლობა ნამეტანი გაუძვირა.

„კალაძე ითხოვს, რომ მასთან შედარებით პაოლო მალდინის არ მიანიჭონ უპირატესობა, მაგრამ ამის გარანტიას ვერ იღებს და ამიტომაც კლუბის შეცვლა გადაუწყვეტია" — წერს „ტუტოსპორტი".

„ლივერპულის" თავკაცმა რაფა ბენიტესმა ამას წინათ აღნიშნა, სხვა გრანდები ჩვენზე ორ-სამჯერ მეტ ფულს ხარჯავენ ტრანსფერებში და ამიტომაც ვერ ვიგებთ ტიტულებსო. და, აი, ამ ზაფხულს „წითლები" სერიოზულ ტრანსფერებს აპირებენ, პირველ რიგში კი „სევილიას" ბრაზილიელ დანიელ ალვეშისა და „სარაგოსას" გაბრიელ მილიტოს შეძენა სურთ, თუმც ახლა კალაძეზეც გადაერთვნენ.

„ლივერპულის" გარდა, კახათი რამდენიმე გრანდია დაინტერესებული, რომელთა შორის ყველაზე ხშირად „ჩელსის" სახელი ისმის.

და, აი, გუშინ...

„მე „მილანთან" კონტრაქტი მაქვს და კლუბშიც 2011 წლამდე დავრჩები" — განუცხადა კახა კალაძემ იტალიური სუპერკლუბის ტელეარხს.

არადა, გეხსომებათ, ჩემპიონთა ლიგის ორგზის მომგებმა ქართველმა მცველმა ამ დღეებში ჯერ „სარბიელს", მერე კი იტალიელ ჟურნალისტებს უთხრა, პაოლო მალდინის სათადარიგოობას ვერ შევეგუები, თუ კვლავაც არ მათამაშეს, წამსვლელი ვარო. საქართველოს ნაკრების კაპიტნის მსურველთა ვინაობაც უმალ ჩამოსახელდა — „ჩელსი", „ბარსელონა", „ბაიერნი", რომელთაც ბოლოს „ლივერპული" მიემატა, თუმც...

„ჩვენ ევროპის მწვერვალზე ვართ და ეს შესანიშნავია. მინდა, დავამშვიდო ტიფოზები, „მილანიდან" წასვლას არ ვაპირებ, კონტრაქტი 2011 წლამდე მაქვს და ვალდებულებებს პატივს ვცემ. რაც ნაფინალევს ვთქვი, ახლა ამაზე ლაპარაკი არ მსურს. დღეს შევხვდი ადრიანო გალიანის, ლეონარდოსა და არიედო ბრაიდას, ყველაფერზე დაწვრილებით ვისაუბრეთ და ამ შეხვედრით ძალიან კმაყოფილი დავრჩი. მათ მაგრძნობინეს, რომ მე „მილანისთვის" ისეთივე საჭირო ფეხბურთელი ვარ, როგორიც, ვთქვათ, ჯენარო გატუზოა. ერთი სიტყვით, ისევ სულით და გულით მილანელი ვარ!" — განმარტავს კალაძე.

ბოლოს კახამ საქართველოს ნაკრებსა და არდადეგებზე ილაპარაკა: „ხვალ ეროვნულ გუნდს უნდა შევუერთდე, ორი უმნიშვნელოვანესი თამაში გველის ლიტვასთან და საფრანგეთთან. კარგი იქნება, ამ მატჩებში, სულ ცოტა, 4 ქულას მაინც თუ ავიღებთ. ვფიქრობ, საქართველოს ნაკრებს შეუძლია წარმატებით თამაში მიუხედავად იმისა, რომ ორივე მატჩს სტუმრად ვატარებთ. მერე კი დასვენების ნეტარი ჟამი მოატანს, თუმც სად დავისვენებ, ჯერ არ გადამიწყვეტია. ალბათ, უფრო საქართველოში. შემდეგ კი ისევ „მილანთან" ერთად ახალი ჯილდოებისთვის ვიბრძოლებ. არაერთი საამაყო ტიტულის მფლობელი ვარ, მაგრამ მე უფრო მეტი მინდა, როცა ეს შეგიძლია, უარი არ უნდა თქვა".

**ილია ნანოგაშვილი**
**გიორგი ვაშაკიძე**

# ბოლო წუთების ბოლო: საქართველო ბოლოზე



საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდის ბოლო, მესამე მატჩიც ჩაატარა და თურქეთთან 1:1-ს დასჯერდა. არადა, ჰაინც ტოპმიოლერის გუნდი ბოლო წუთამდე იგებდა...

დამთხვევაა თუ მავნე თვისება, ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტია: ელიტ-რაუნდის სამივე მატჩში ჩვენებმა სწორედ ბოლო წუთები ჩააგდეს და ეს სანანებელიც გაუხდათ.

მოკლედ გავიხსენოთ: პორტუგალიასთან (0:0) სწორედ ბოლო წამს გაუშვეს მოგება ხელიდან, როცა ნიკა კვასხვაძემ მეკარესთან პირისპირ გასვლით ვერ ისარგებლა და ურეალურესი მომენტი გააცუდა; შოტლანდიასთან (1:2) თავიდანვე დაწინაურებულმა ქართველებმა პირველ ტაიმში ორი საგოლე მომენტი გააფუჭეს, მეორე ტაიმში ლევან მჭედლიძე გაუძევეს, გოლიც გაუშვეს და თითქოს ამ ყველაფრის მიუხედავად ფრე ხელში გვაქვსო, მაინც იძალეს შოტლანდიელებმა და 89-ე წუთზე მეორეც შეაგდეს; და აი, გუშინ კი თურქებმაც ბოლო წუთზე გაათანაბრეს...

მოკლედ, რაღაც უცნაური, მაგრამ არცთუ უცხო სენი შეეყარა ჩვენს 19-წლამდელებს და იმედია, გერმანელი მწვრთნელები ამას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ, თორემ შოტლანდიურ ტურნირში ისე განვითარდა მოვლენები, რომ ფინალური ეტაპის საგზურის ვერმოპოვება ვერმოპოვებად კი არა, დაკარგვად უფრო მოჩანს...

და ერთიც: ევროპის ჩემპიონატზე პორტუგალიელი 19-წლამდელები ითამაშებენ, რომლებმაც გუშინ მასპინძლებს 4:2 მოუგეს და პირველი ადგილი დაიკავეს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 3 | 2 1 0 | | 5:2 | 7 |
| თურქეთი | 3 | 1 1 1 | | 3:3 | 4 |
| შოტლანდია | 3 | 1 0 2 | | 5:7 | 3 |
| საქართველო | 3 | 0 2 1 | | 2:3 | 2 |

# სხვა რა მოკლავს გულშემატკივარს — გული

საქართველოს თასის ფინალიდან ნახევარ საათში გულის შეტევით გარდაიცვალა „ზესტაფონის" გულშემატკივარი, 41 წლის გოჩა ხითარიშვილი, ყოფილი კალათბურთელი, რომელსაც ჩარლის მეტსახელით ზესტაფონში ყველა იცნობდა. მოხდება ასეთი საშინელი ამბავი: ფეხბურთის დიდი სიყვარული, საკუთარი კლუბის ერთგულება მოურეველ განცდებს გააჩენს ხოლმე. ეს განცდა კი მოურეველი იმიტომაა, რომ გულშია. გულს კი ვერაფრით გააჩერებ. უბედურება მაშინ ხდება, როცა ფეხბურთიც ნამდვილია, გულიც ნამდვილი და ორივე ერთად კი შენია.

ჩვენი სამძიმარი და თანაგრძნობა გარდაცვლილი ქომაგის ოჯახს.

# თქვენ მოიგეთ! მიაკითხეთ

საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის 26-ე ტურში წამახალისებელი ლატარიის გამარჯვებული შემდეგი სამი ბილეთი გახდა:

010903, 010910, 011014,

დავით ყიფიანის სახელობის თასის „ყაზბეგის" გათამაშების ფინალში გათამაშებული წამახალისებელი ლატარიის გამარჯვებული ხუთი ბილეთის ნომრები.

010400 — „ჯეოსელის" ქსელში ჩართული მობილური ტელეფონი
009464 — **DVD-PLAYER**
007601 — ტელევიზორი
006935 — **SONY ERICSSON**
010652 — ლიტვა — საქართველოს მატჩზე დასასწრები 2 საგზური

## ინგლისი

ჩემპიონატი
პლეი ოფი. ფინალი

დერბი 1:0 ვესტ ბრომვიჩი

## შვეიცარია

თასის ფინალი

ბაზელი 1:0 ლუცერნი

## ირლანდია

პრემიერლიგა. XIII ტური

ბოჰემიანსი 2:0 სენტ პატრიკსი

## ისლანდია

პრემიერდივიზიონი. IV ტური

ფილკირი 2:2 აკრანესი
ბრეიდაბლიკი 0:0 ვალიური
კეფლავიკი 3:0 კოპავოგური
რეიკიავიკი 1:2 ვიკინგური

## ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა
XXX ტური

ბუდეიოვიცე 1:2 სლავია
იაბლონეცი 3:1 სლოვაცკო
კლადნო 1:1 პლზენი
ბოლესლავი 4:0 ლიბერეცი
პრჟიბრამი 0:1 ბრნო
სპარტა 5:0 მოსტი
ტეპლიცე 1:2 ბანიკი
ზლინი 1:1 სიგმა

## ფინეთი

ვეიკაუსლიგა. VII ტური

ტამპერე 1:0 ლაჰტი

## უნგრეთი

ბორსოდი ლიგა
XXX ტური

მტკ 2:0 უიპეშტი

## დანია

1 დივიზიონი. XXVI ტური

ფრემი 4:1 ბრაბრანდი
იოლსტიკე 1:2 კიოგე
აკადემისკი 2:2 ფრედერისია
ორჰუსი 1:0 ტისტედი
ფკ ორჰუსი 2:3 სიონდერისკე
ჰერფიოლგე 0:2 ნესტვედი
ჰელერუპი 2:0 ფრემადი
ლიუნგბიუ 1:1 კოლდინგი

## ნორვეგია

ტიპელიგა. VIII ტური

ლინი 4:3 ტრომსიო
ალესუნდი 0:2 ვიკინგი
ოდ გრენლანდი 0:2 ბრანი
ლილესტრიომი 1:1 სტაბეკი

1 დივიზიონი. VIII ტური

ბრინი 3:0 სკეიდი
ჰაუგესუნდი 2:1 ბოდიო გლიმტი
ლოვ ჰამი 4:0 მანდალი
მიოლდე 0:2 კონგსვინგერი
მოსი 2:1 სპარტა
რაუფოსი 1:4 ჰამ კამი
სოგნდალი 4:1 ჰიონეფოსი
ტრიომსდალენი 2:0 ნოტოდენი

## შვედეთი

ალსვენსკა
IX ტური

ჰალმსტადი 1:0 ბრომაპოიკარნა
ჰელსინგბორგი 4:1 იორებრო
გიოტებორგი 1:0 გაის
იურგორდენი 3:1 აიკ

სუპერეტა
VII ტური

ატვიდაბერგი 2:1 ბანკეფლო
დეგერფორსი 0:0 ენჩიოპინგი
ნორჩიოპინგი 3:0 ფალკენბერგი

**იყიდება**

6 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ნუცუბიძის IV მ/რ ახლოს, სოფელ-აგარაკთან, მუხათწყაროს გზის ნაპირზე.
ფასი შეთანხმებით. ტელ: 893 42-74-94

საფეხბურთო კლუბ „დინამო" თბილისის ბავშვთა აკადემია აცხადებს კონკურსს 1991-92 წლებში დაბადებულ ნორჩ ფეხბურთელთა შორის. აკადემიაში მიმღებთა შერჩევას „დინამოს" გამოცდილი მწვრთნელ-სელექციონერები აწარმოებენ. შერჩევა გაიმართება 7-17 ივნისს. მსურველები 7 ივნისამდე დაგვიკავშირდნენ ტელეფონით ნომერზე 53 20 76

*ს.კ. „დინამო" თბილისის ბავშვთა აკადემია*



თბილისურმა „ამერმა“ და მისმა მწვრთნელმა გიორგი ჩიხრაძემ უკვე მეორედ მოიგეს საქართველოს თასი და 26 მაისის ფინალში ისევ „ზესტაფონი“ დაამარცხეს. ამჯერად „ამერმა“ ამ საქმის გაკეთება მატჩის ძირითად დროში მოახერხა, შარშან კი, გეხსომებათ, „ყვითლებმა“ იმერლებს ერთობ დრამატული შეხვედრის შემდგომი პენალტების სერიაში მოუგეს.
შენარჩუნება მოპოვებაზე ძნელიაო, ნათქვამია და, „ამერის“ თავკაცმა ეს საკუთარ თავზეც გამოსცადა — თბილისელებმა მეტოქე უმძიმეს ბრძოლაში დაამარცხეს და საქართველოს თასი უკვე სამუდამო მფლობელობაში დაიტოვეს.
რა და როგორ იყო „ზესტაფონთან“ ფინალამდე და ფინალში, რა არის დღეს და რა იქნება მომავალი სეზონისთვის — ამ კითხვებით გიორგი ჩიხრაძეს გუშინ, უკვე დამშვიდებულ გულზე მივმართეთ...

# რაც უფრო შორს...
## გიორგი ჩიხრაძის ცივი ფიქრი და ცხელი სიტყვა

— ცხადია, ძალიან სასიამოვნოა, რომ მწვრთნელის რანგში ორგზის თასის მფლობელი ვარ, თუმცა ახლა ისეთი განცდა არ მაქვს, როგორიც შარშანდელი ფინალის შემდეგ მქონდა. მაშინ თასი, როგორც მწვრთნელმა, პირველად მოვიგე, რაც განსაკუთრებული ამბავი იყო, ყველაფერ პირველს ხომ სულ სხვა გემო აქვს. მაგრამ ეს უკვე ისტორიაა, ის ფინალი მალევე დავივიწყეთ და ასე იქნება ახლაც, სამომავლო წარმატებებისთვის ძ[illegible]ლი უნდა დაიწყო და მეტი ენერგიით შეუდგე საქმეს.

— **თქვენ როდიდან შეუდგებით ამ საქმეს?**

— უკვე შევუდექი. ფეხბურთელები ახლა ისვენებენ და წარმატებას ზეიმობენ, მწვრთნელები და გუნდის ხელმძღვანელები კი მომავალზე ვფიქრობთ. ჩემთვის ახალი სეზონისთვის მზადება უკვე დაწყებულია.

— **რაკი მომავალზე ფიქრობთ, მაშინ ახლადაწყებული თასის ფინალი გავიხსენოთ. ისეთი მატჩი გამოვიდა, როგორსაც ელოდით?**

— დიახ, ველოდი, რომ სანახაობის თვალსაზრისით ეს მატჩი დიდად გამორჩეული არ იქნებოდა, ვიცოდი, წინა ფინალზე გაცილებით უფრო რთული და დაძაბული შეხვედრა გამოვიდოდა. ასეც მოხდა და ბედნიერი ვარ, რომ ეს ფინალიც მოვიგეთ.

— **მატჩის დასაწყისში „ზესტაფონმა“ მაგრად შემოგიტიათ, მათ რამდენიმე საგოლე მომენტი გაუცუდდათ. მეტოქისგან ასე დაწყებასაც ელოდით?**

— პირველ ტაიმში ჩვენი პრობლემა ის იყო, რომ კონტრშეტევებზე თამაში არ გამოგვივიდა. „ზესტაფონი“ ყველა მატჩში დიდი ძალებით უტევდა და ვფიქრობდი, რომ ფინალშიც იგივეს გააკეთებდა. გოლი არ უნდა მიგვეღო — ეს იყო ჩვენი მიზანი და შესაძლებლობისთანავე კონტრშეტევებზე უნდა გადავსულიყავით. გოლი არ მიგვიღია, მაგრამ „ზესტაფონს“ მართლაც ჰქონდა რამდენიმე კარგი მომენტი. „ამერის“ ფეხბურთელები ნერვიულობდნენ და ცოტა შებოჭილები ჩანდნენ. ფსიქოლოგიური მომენტიც იყო, მეორე ფინალს ვთამაშობდით და, ცხადია, ახლა უფრო ვფრთხილობდით. მეტოქეს წაგებული წინა ფინალის შემდეგ ამჯერად, შეიძლება ითქვას, დასაკარგი არაფერი ჰქონდა და გვიტევდა. ჩვენ კი თამაში არ გავხსენით, თორემ გოლის მიღების რისკი გაიზრდებოდა.

— **არ ფიქრობთ, რომ სწორედ ზედმეტმა სიფრთხილემ მოიტანა თქვენს კართან ის მომენტები?**

— „ამერს“ ტაქტიკური შეცდომები არ ჰქონია, კონკრეტულ ეპიზოდებში „ზესტაფონის“ ფეხბურთელებმა უფრო იყოჩაღეს და მომენტებიც ამას მოჰყვა.

— **შესვენებაზე რა უთხარით ფეხბურთელებს?**

— ცოტა არ იყოს, ემოციურად გამოვხატე ჩემი სათქმელი. მეტოქისთვის ასე იოლად არ უნდა დაგვეთმო უპირატესობა და შეტევა გავამწვავოთ-მეთქი. მოსალოდნელი იყო, რომ პირველ ტაიმში სწრაფი და ძალიან აქტიური „ზესტაფონის“ ნახევარმცველები მეორე ტაიმში დაიღლებოდნენ და ეს უნდა გამოგვეყენებინა. ვიფიქრე, რომ მეტოქე შეტევას კიდევ უფრო გააძლიერებდა და დაცვაში თავისუფალი ზონები გაჩნდებოდა. საბოლოოდ ასეც მოხდა. „ზესტაფონი“ დაცვაში მოდუნდა, ჩვენ კი თამამად შევუტიეთ და გამარჯვების გოლიც გავიტანეთ.

— **ამ გოლის გამტან დიმიტრი ტატანაშვილზეც უნდა გკითხოთ. სტაბილურად რატომ ვერ თამაშობს ძირითად შემადგენლობაში?**

— მას პრობლემები ჰქონდა, დაშავებული იყო და ზაფხულისა და ზამთრის ორივე მოსამზადებელი პერიოდი გაუცდა. როცა გამოჯანმრთელდა, მერე ფუნქციონალურად გაუჭირდა და სულიკო დავითაშვილისა და რატი წინამძღვრიშვილის კონკურენციას ვერ გაუძლო. სეზონის ბოლოსკენ კი დიმამ საგრძნობლად მოუმატა და ასე თუ გააგრძელა, ძირითადში ადგილს დაიმკვიდრებს.

— **ახალი სეზონისთვის ბევრი ფეხბურთელის დამატებას აპირებთ?**

— ცვლილებები იქნება, თუმცა რამდენ ფეხბურთელს დავიმატებთ, ახლა ვერ გეტყვით. ვფიქრობთ რამდენიმე მოთამაშეზე და ახლა მოლაპარაკების პროცესში ვართ.

— **ყველაზე მეტად რომელ პოზიციაზე გჭირდებათ გაძლიერება?**

— ისეთი ფეხბურთელები გვჭირდება, რომლებიც ჩვენს მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ.

— **მაშინ ასე გკითხავთ: მხოლოდ ერთი ფეხბურთელის დამატების უფლება რომ გქონდეთ, რომელს აიყვანდით?**

— რომელიც უფრო გამოგვადგებოდა, იმას ავიყვანდით. არ გამოვრიცხავ, რომ ეს თავდამსხმელი ყოფილიყო, შეიძლება, ნახევარმცველი ან მცველი.

— **უცხოელი ფეხბურთელების დამატებას არ აპირებთ?**

— სასურველ ფეხბურთელთა სიაში ქართველებიც არიან და უცხოელებიც.

— **ახალი სეზონისთვის უკვე ემუშაობთ, თქვით. გუნდის გეგმები როგორია, სად გექნებათ შეკრება?**

— გუნდი შვებულებიდან 9-10 ივნისს გამოვა და 10 დღით ბორჯომში წავალთ. შემდეგ ვარჯიშს თბილისში განვაგრძობთ და ერთ კვირაში ჩეხეთში გავემგზავრებით. იქ ორკვირიანი შეკრება და ექვსი ამხანაგური მატჩი გვაქვს დაგეგმილი. ამასობაში კი უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპის კენჭისყრაც ჩატარდება და თბილისში დაბრუნებიდან სავარაუდოდ ერთ კვირაში პირველი მატჩიც მოგვიწევს.

— **სიტყვამ მოიტანა და, უეფას თასზე წლეულს „ამერისგან“ რას ველოდოთ?**

— „ამერი“ ახალგაზრდული გუნდია და ევროტურნირებზე თამაშის დიდი გამოცდილება არ გვაქვს, თუმცა უცხოურ შეკრებებზე ხშირად ვთამაშობთ ხოლმე მაღალი კლასის გუნდებთან და პრაქტიკასაც ნელ-ნელა ვიღებთ. თანაც უეფას თასზე შარშან ოთხი მატჩი ჩავატარეთ და დავრწმუნდით, რომ მოგების შანსი ყველა გუნდთან არის. მთავარია, კარგად მოემზადო და ფსიქოლოგიურად არ გატყდე. კონკრეტულად ვერ გეტყვით, რომ „ამერს“ უეფას თასზე ერთი, ორი ან სამი ეტაპის დაძლევა აქვს დაგეგმილი. რაც უფრო შორს წავალთ, მით უკეთესი, ერთხელაც ვიტყვი, თამაში და მოგება ყველა მეტოქესთან შეიძლება.

— **და ერთიც: „ამერისთვის“ რით იყო განსხვავებული წლევანდელი სეზონი შარშანდელისგან?**

— წლეულს „ამერს“ ჩემპიონობის უფრო რეალური შანსი ჰქონდა. შარშან უფრო ადრე ჩამოვშორდით პირველობისთვის ბრძოლას, წლეულს კი სამი-ოთხი ტურით ადრეც ჩემპიონობაზე ვფიქრობდით და დასანანი ქულები რომ არ დაგვეკარგა, იქნებ უკეთესი შედეგიც მიგვეღო. ხოლო როცა ჩემპიონობის იმედი გადაგვეწურა, მესამე ადგილისთვის გავაგრძელეთ ბრძოლა და ეს საქმე ბოლომდე მივიყვანეთ. შარშან მეშვიდე ადგილზე გავედით, თასი კი შარშანაც მოვიპოვეთ და ახლაც. მოკლედ, გუნდის პროგრესი კარგად ჩანს და მომავალში უკეთესი შედეგისთვის ვითამაშებთ.

**კობა ინასარიძე**

# ოლიმპზე ადგილი გათავისუფლდა: რევაზ ძოძუაშვილი გაუშვეს



*რუსთავის „ოლიმპმა“ საჩემპიონო ტიტული ახლახან მოიგო და სანამ ევროტურნირისთვის მზადებას შეუდგება, მანამდე საკადრო პოლიტიკის მოწესრიგება დაიწყო.*

*გუშინ კლუბის ხელმძღვანელობის კრება გაიმართა, სადაც „ოლიმპის“ მწვრთნელად რევაზ ძოძუაშვილის დარჩენა-არდარჩენის საკითხიც უნდა გარკვეულიყო. კლუბის ერთ-ერთ დამფუძნებელ მამუკა გუგეშაშვილთან საუბარი სწორედ ამ კითხვით დავიწყეთ...*

— რევაზ ძოძუაშვილი გუნდიდან წავიდა. კონტრაქტის პირობებით მისი დარჩენაც შეიძლებოდა და წასვლაც. კლუბის ხელმძღვანელობამ საჭიროდ ჩათვალა, კონტრაქტი აღარ გახანგრძლივებულიყო.

— **სხვა მწვრთნელის კანდიდატურა უკვე შეარჩიეთ?**

— რამდენიმე ვარიანტი არის, რადგან გუნდი ევროტურნირისთვისაა მოსამზადებული, მისი ვინაობა მალე გახდება ცნობილი.

— **უცხოელ მწვრთნელზეც ხომ არ გიმსჯელიათ?**

— კი, ესეც იყო.

— **ვიცით, ლეგიონერების დამატებასაც აპირებთ...**

— გვაქვს რამდენიმე ვარიანტი.

— **გუნდიდან არავინ წასულა?**

— რამდენიმე ფეხბურთელს კონტრაქტი დაუმთავრდა, მაგრამ ალბათ გაუგრძელდებათ. წასვლით კი ოთხი ფეხბურთელი წავიდა, მაგრამ ამჟამად მათი დასახელებისგან თავს შევიკავებ, ჯერ ფეხბურთელებთან კრება არ ჩატარებულა.

— **ევროტურნირისთვის მოსამზადებელი ეტაპი ხომ არ დაგიგეგმავთ?**

— გარკვეული მონახაზი არის, თუმც ყველაფერი კლუბის ბიუჯეტზე იქნება დამოკიდებული.

*„ოლიმპიდან“ წასვლის თაობაზე, ბუნებრივია, რევაზ ძოძუაშვილსაც დავუკავშირდით და გვითხრა, უცნაურია, კლუბის ხელმძღვანელობამ ასეთი გადაწყვეტილება რომ მიიღო, მათ მაინც შევხვდები და დაველაპარაკებიო.*

— **თქვენ არ ყოფილხართ „ოლიმპის“ კრებაზე?**

— არა. მე გუშინწინ გავიგე, რომ ჩემი გაშვება გადაუწყვეტიათ. ერთი რამ მინდა: არავინ იფიქროს, თითქოს ძოძუაშვილი ჩემპიონთა ლიგას შეუშინდა. ყველაზე კარგი, რაც შეიძლებოდა გაგვეკეთებინა, ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპებზე წარმატებით თამაში იყო. ამ შემადგენლობით ეს ნაღდად შეგვეძლო.

— **თქვენს კონტრაქტში არის პუნქტი, რომლის თანახმადაც სეზონის ბოლოს უნდა წასულიყავით?**

— კონტრაქტით ექვსი თვე პლუს ერთი წელი მქონდა, ანუ „ოლიმპი“ მეორეზე რომ გასულიყო, მე გუნდიდან უნდა წავსულიყავი, მაგრამ ჩემპიონები გავხდით. მართალია, ბევრი გვაკრიტიკებდა, „ოლიმპი“ დაცვით ფეხბურთს თამაშობსო, მაგრამ ჩვენ დაცვაც ვიცოდით და შეტევაც — ასეც არ იყოს, ჩემპიონთა ლიგის ფინალში სულ „ლივერპული“ უტევდა, მაგრამ „მილანმა“ მოიგო.

— **ადრე გვითხარით, თურქეთის გუნდებიდან მაქვს მოწვევაო...**

— კი, მაგრამ ვიმეორებ — არ მინდა, ვინმემ ისე გაიგოს, თითქოს „ოლიმპი“ საქართველოდან წასვლის საშუალებად გამოვიყენე. ჩემი სურვილი ამ გუნდში დარჩენა იყო, მაგრამ „ოლიმპს“ ჰყავს პატრონები და ეს მათი გადასაწყვეტია. როგორც ჩანს, ახალი გუნდის ჩამოყალიბება სურთ. ჩემპიონები გავხდით, ახალგაზრდები წარმოვაჩინეთ, 12 ათასი კაცი მოვიყვანეთ სტადიონზე... მგონი, ცუდი საქმე არ გამიკეთებია.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**
**ილია ნანობაშვილი**

# სიონიდან მიდიან და არ მოდიან



**წარუმატებელი** სეზონის შემდეგ შარშანდელი ჩემპიონი ბოლნისის „სიონი" საკადრო პოლიტიკას ცვლის, ოღონდ ამ ეტაპზე გადაადგილებები „სიონს" უეჭველად დაასუსტებს.

„კლუბის დამფუძნებელმა ბოლნისის გამგეობამ და სპონსორებმა გადაწყვიტეს, სამომავლოდ აქცენტი ადგილობრივ კადრებზე გააკეთონ. გამოცდილ და ცნობილ ფეხბურთელებს კი ტრანსფერზე დავაყენებთ. მომავალ სეზონში ადგილობრივი ფეხბურთელებით უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად ვიბრძოლებთ, მერე კი ვნახოთ. პროგრამა გრძელვადიანია და შედეგს სამი-ოთხი წლის შემდეგ ველით" — გვითხრა „სიონის" გენერალურმა მენეჯერმა *ჯემალ ჭიპაშვილმა*, გუშინ რომ შევეხმიანეთ.

კი გვინდოდა, გვეთქვა, „სიონის" წამსვლელ-მომსვლელებიო, მაგრამ ცალმხრივად, ოდენ წამსვლელებზე მოგვიწევს წერა. „სიონმა" სამივე კამერუნელი — ერიკ რომეო ჩასემი, გასტონ ევოჩე და ბოიომო ფრიდოლინი ტრანსფერზე დააყენა. კონტრაქტები დაუმთავრდათ და ახალი კლუბის ძიებაში არიან ვიტალი დარასელია და ლევან კორღალიძე. ვიტალი დარასელიას მსურველ კლუბზე „სიონში" ვერაფერი გვითხრეს, კორღალიძე კი, ჩვენი ინფორმაციით, საქართველოს ახალ ჩემპიონს, რუსთავის „ოლიმპს" დაუბრუნდება. რუსთაველები ჩემპიონთა ლიგისთვის ძლიერდებიან.

რაც შეეხებათ კამერუნელებს, ჭიპაშვილის თქმით, ჩასემით ჰოლანდიური პსვ დაინტერესებულა, თუმც უთქვამთ, გასასინჯად ჩამოგვიყვანეთო, ბოლნისელებს კი უფრო რეალური წინადადებები ხიბლავთ.

რეალურად კი კამერუნელებით ბაქოს „ბაკი" დაინტერესდა, რომელიც შარშან „სიონმა" უეფას თასიდან გამოთიშა. „ბაკის" გარდა სხვა აზერბაიჯანული კლუბებიც აქტიურობენ და კამერუნელებიც ალბათ ჩვენს სამეზობლოში გადაბარგდებიან. მათი სატრანსფერო ფასი არ ხმაურდება, თუმც, როგორც ჭიპაშვილმა გვითხრა, ჩვენს კვალობაზე მსურველებს აფრიკული სამეული ძვირი დაუჯდებათ.

ეს კარგი, მაგრამ ჯერაც გაურკვეველია, ვინ იქნება უამბიციო „სიონის" მთავარი მწვრთნელი. რა შეხსენება უნდა, მაგრამ მაინც ვთქვათ: სეზონი „სიონს" კახა ცხადაძემ ჩაამთავრებინა, რომელიც „ამერთან" 0:3 წაგებული სათასო ნახევარფინალური მატჩის შემდეგ გადადგა, მაგრამ საპასუხო მატჩისას დაუბრუნდა გუნდს და ლამის სენსაცია მოხდა — ბოლნისელებმა ძირითად დროში სამბურთიანი ჩამორჩენა გაათანაბრეს, მაგრამ დამატებით დროში მეტოქეებმა თითო გოლი გაცვალეს და ფინალში „ამერი" გავიდა.

მწვრთნელის თაობაზე ჭიპაშვილმა ეს გვითხრა: „კლუბის უფროსობის სურვილია, ცხადაძე დარჩეს, მაგრამ კახა ჯერ ყოყმანობს. მან იცის გუნდის სამომავლო გეგმები და ამ დღეებში გვეტყვის პასუხს. უარის შემთხვევაში სასურველი კანდიდატის ძებნას დავიწყებთ, ჯერ კი ასეთი არავინაა".

**ბაჩო სვანიძე**



# ასათიანს თასი და ამდენი ფანი არ ენახა



*მალხაზ ასათიანი ჯერაც არ ათამაშებულა, თუმც ჩვენიანმა გუშინწინ რუსეთის თასი ჩაიხუტა — საქართველოს ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა რუსული ტიტულების კომპლექტი შეავსო. მოსკოველმა ჟურნალისტმა ასათიანს „ლოკომოტივის" გასახდელში ზეიმისას ჩამოართვა მცირე ინტერვიუ*

— მე თასი არასოდეს მომეგო. სამწუხაროა, რომ ამ გათამაშებაში მხოლოდ ერთი მატჩი ვითამაშე და გადამწყვეტ შეხვედრებში „ლოკომოტივს" ვერაფრით დავეხმარე, თუმც ჩემი კლუბის წარმატება სხვებზე არანაკლებად მიხარია.

— ბევრი ამბობს, „მოსკვასთან" ფინალში „ლოკომოტივს" იმდენი ფანი ჰყავდა, აქამდე არ გვინახავსო.

— დიახ, „ლოკოს" ამდენი გულშემატკივარი ერთად ჯერ მეც არ მინახავს.

— თასი არც საქართველოში მოგიგია?

— ასეა. აქამდე სამჯერ გავხდი საქართველოს ჩემპიონი და ერთხელაც — რუსეთის.

— „მოსკვასთან" თამაშს ტრიბუნიდან უყურე. საინტერესოა, როგორ შეაფასებ მატჩს?

— პირველ ტაიმში „ლოკომოტივმა" გადასარევად ითამაშა, ბევრი საგოლე მომენტი შექმნა „მოსკვას" კართან, მეტოქეს კი მხოლოდ ერთი რეალური შანსი ჰქონდა. მეორე ნახევარში ჩვენები ჯოჯოხეთური სიცხისგან დაილალნენ, თუმც უპირატესობა ხელიდან არ გაუშვიათ. ბოლო წუთებში ვგრძნობდი, რომ ბურთი ან ერთ კარში შევარდებოდა, ან მეორეში — მადლობა ღმერთს, „ლოკომოტივმა" გაიტანა.

# მენთეშაშვილი საკუთარმა მწვრთნელმა დააზნია



*ზურაბ მენთეშაშვილი თითქმის მთელი ზამთარი უკლუბოდ იყო, ზედ ლატვიის ჩემპიონატის დაწყების წინ გადავიდა იქაურ „ვენტსპილსში" და სწორედ ზამთარში გაცდენილის ბრალია, რომ გუნდის ლიდერად ვერ იქცა. საქართველოს ნაკრების საყრდენი ნახევარმცველი საკუთარი თამაშით უკმაყოფილოა, თუმც „ვენტსპილსის" მწვრთნელსაც არ ემადლიერება მაინცდამაინც.*

*ზურაბს ლატვიურ ამბებსა და მოახლოებულ სანაკრებო მატჩებზე ვკითხეთ...*

— ორი განსხვავებული სტილის და ძალის მეტოქე გელით. როგორ შეაფასებდი თქვენს შანსებს ამ მატჩებისთვის?

— ლიტვაში მოსაგებად უნდა ჩავიდეთ, მართალია, ხელწამოსაკრავი გუნდი არ არის, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ მოგება არ შეიძლება. ლიტველების თამაშის სტილი უფრო შოტლანდიურს წააგავს, ბრძოლისუნარიანი გუნდია, თუმც კლასით უფრო დაბალი. შოტლანდიასთან არ უნდა წაგვეგო, ამიტომ ლიტვასთან თამაშისთვის უფრო იმედიანად ვარ განწყობილი. საფრანგეთის ნაკრებზე კი რა გითხრა, მგონი, ლაპარაკიც ზედმეტია.

— არადა, სწორედ ეს ლიტვა იყო, ძალიან რომ გაუძალიანდა საფრანგეთს. არ შეიძლება, ჩვენც იგივე გავაკეთოთ?

— ფრანგები ლიტვასთან თავდაჯერებულები გავიდნენ, თუმც საბოლოოდ გამარჯვება ეჭვქვეშ არ დაუყენებიათ. წინააღმდეგობას ჩვენც გავწევთ და რა გამოვა, ვნახოთ. რაც უნდა იყოს, საფრანგეთის ნაკრები მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია.

— სეზონის წინ ბევრი გაგიცდა, „შინიკიდან" წამოსული ჯერ საქართველოში ვარჯიშობდი და ლატვიაშიც გვიან ჩახვედი. მანდაც ჩემპიონატი ახალი დაწყებულია, ფორმაში შესვლა მოასწარი?

— მაგარ ფორმაში ვარ-მეთქი, ნამდვილად ვარ ვიტყვი. სეზონისწინა ნორმალური შეკრება არსად გამივლია, „ვენტსპილსშიც" ერთი კვირა ვივარჯიშე და ჩემპიონატიც დაიწყო. ნელ-ნელა ფორმაში კი შევდივარ, თუმც საკუთარი თავით ჯერ უკმაყოფილო ვარ.

— ეტყობა, ფიზიკურადაც გიჭირს, „ვენტსპილსის" შემადგენლობაში სრულად არც ერთი მატჩი არ გითამაშია...

— არა, ფიზიკურად უფრო არ მიჭირს, სხვა რამეა — მე კი შემიძლია, 90 წუთი ვირბინო, მაგრამ მწვრთნელს ვერაფერი გავუგე. არის მატჩები, სადაც საუკეთესოდ ვთამაშობ, მაგრამ ბოლომდე მაინც არ მენდობა. რა ტაქტიკურ ცვლილებებს აკეთებს, ხანდახან ვერ ვხვდები.

— ამის ბრალი ხომ არ არის, შარშანდელ ჩემპიონს წლეულს აშკარად რომ გაუჭირდა?

— შესაძლოა, რადგან მართლა გაუგებრად ცვლის ტაქტიკას. თუმც, ალბათ, ოპტიმალურ სქემას და შემადგენლობას მალე მიაგნებს და მაინც ვიჩემპიონებთ.

— თქვენი კონკურენტები ვინ არიან?

— უმთავრესად, ლიეპაიას „მეტალურგსი", ისე, არც „რიგას" და „სკონტოს" გამორიცხვა შეიძლება.

— „მეტალურგსში" ორი ლიტველია — კალონასი და მიცეიკა, რომლებიც ნაკრებში გამოიძახეს. როგორი ფეხბურთელები არიან?

— აქ მოთამაშე ლიტველები უფრო ტექნიკურები არიან, ვიდრე ნაკრების სათამაშო სტილია. ისე, როგორც ვიცი, ისინი ძირითადში ვერ ხვდებიან, ასე რომ, რას და რამდენს აკეთებენ ნაკრებში, ვერ გეტყვით.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი
## ჩვენი მეტოქე

# იტალია და ისევ პიპო



**იტალიის** ნაკრები 2 ივნისს ტორსჰავნში ფარერებს სტუმრობს, 6 ივნისს კი კაუნასში ლიტველებს ეთამაშება. იმაზე ლაპარაკიც ზედმეტია, რომ „სკუადრა ადურა" ექვს ქულას გეგმავს.

იტალიელთა თავკაცმა რობერტო დონადონიმ ამ ორი მატჩისთვის 23 ფეხბურთელი გამოიძახა, რომელთა შორის არ არიან „ფიორენტინას" ფორვარდი ლუკა ტონი, „იუვენტუსის" ნახევარმცველი მაურო კამორანეზი და „მილანის" მცველი ალესანდრო ნესტა.

სამაგიეროდ, ნაკრებში დაბრუნდა ჩემპიონთა ლიგის ფინალის გმირი ფილიპო ინძაგი, ვინაც ბოლოს სწორედ ლიტვასთან ითამაშა სექტემბერში და გოლიც გაიტანა — მაშინ „ადურა" 1:1 გაეყარა ბალტიისპირელებს.

**მეკარეები:** ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი), მარკო ამელია (ლივორნო), კრისტიან აბიატი (ტორინო);

**მცველები:** მასიმო ოდო (მილანი), მაქს ტონეტო (რომა), ჯანლუკა ძამბროტა (ბარსელონა, ესპანეთი), ანდრეა ბარძალი (პალერმო), მარკო მატერაცი (ინტერი), ფაბიო კანავარო (რეალი, ესპანეთი), ალესანდრო გამბერინი, მანუელ პასკუალი (ფიორენტინა).

**ნახევარმცველები:** მასიმო ამბროზინი, ანდრეა პირლო, ჯენარო გატუზო (მილანი), სიმონე პეროტა, დანიელე დე როსი (რომა), აიმო დიანა (პალერმო);

**თავდამსხმელები:** ალესანდრო დელ პიერო (იუვენტუსი), ფილიპო ინძაგი (მილანი), ტომაზო როკი (ლაციო), კრისტიან ლუკარელი (ლივორნო), ფაბიო კალიარელა (სამპდორია), ანტონიო დი ნატალე (უდინეზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კომერცია და ინტრიგა
## რა ხდება ბრაზილიის ნაკრებში?



**ბრაზილიის** ნაკრების მწვრთნელმა კარლოს დუნგამ ინგლისელთა წინააღმდეგ სათამაშოდ გამოძახებული ფეხბურთელების სია ჟურნალისტებს ანბანის მიხედვით წაუკითხა.

სია იწყებოდა ასე: ალფონსო ალვეში, „ჰერენვენი".

ამ გვარის კითხვისას ბრაზილიელთა თავკაცს ტუჩის კუთხეში ღიმილი დასთამაშებდა, რადგან კარგად ხედებოდა, რომ პრესკონფერენციის ასე დაწყებით ჟურნალისტებს ნამდვილ პროვოკაციაზე აგებდა.

„ვინ არის ეს ბიჭი? რა პოზიციაზე თამაშობს? ცენტრალური მცველია?" — ველარ მოითმინა ბოლოს ერთმა, მაგრამ დუნგამ დარბაზში შეკრებილთა წამება განაგრძო — სია დინჯად ჩაიკითხა ბოლომდე და მერეღა გასცა მოუთმენელის კითხვას პასუხი:

„ის თავდამსხმელია, სწრაფი, ღონიერი და ტექნიკური. მას ჰოლანდიაში ჩინებული სეზონი ჰქონდა".

ადვილი წარმოსადგენია, რომ დუნგას თანამემამულე ჟურნალისტებთან მთლად ტკბილი ურთიერთობა არ აქვს. მიზეზი: მწვრთნელს საყვედურობენ, რომ ნაკრებში მხოლოდ ევროპაში გადახვეწილ ფეხბურთელებს იძახებს, ბრაზილიის ჩემპიონატის მონაწილეებს კი ნაკლებ ყურადღებას აქცევს. აი, ამჯერადაც, დუნგას მიერ საინგლისოდ გამოძახებულთა შორის ბრაზილიაში ორად ორი კაცი თამაშობს. ამაზე დუნგას ლოგიკური პასუხი აქვს — ნებისმიერ ფეხბურთელს, რომელიც ბრაზილიის ნაკრებში გამოჩნდება, ევროპული კლუბები დაუყოვნებლივ ოკეანის გაღმა მიერეკებიან და საბოლოოდ ისე გამოდის, რომ გუნდში ადგილობრივი მოთამაშე აღარავინ მრჩება.

მართლაც, თუკი გლობალიზაცია რამეს შეეხო, ეს ბრაზილიური ფეხბურთია. მსოფლიოს საფეხბურთო ბაზარზე პლანეტის ხუთგზის ჩემპიონთა ქვეყნიდან გამუდმებით უამრავი მოთამაშე იყიდება, ხოლო კლუბები ახალი და ახალი ბიჭების გაზრდა-გაყიდვით ინახავენ თავს.

და ნაკრები? ბრაზილიის ნაკრები, უბრალოდ, მსოფლიო ბრენდი გახდა საერთაშორისო სპონსორებით და შეკვეთებით. ის კომერციული კორპორაციაა, რომელშიც სარფის მისაღებად დედამიწის ყველა კუთხეში სახელგანთქმული ვარსკვლავები უნდა თამაშობდნენ.

და კიდევ, საინტერესო რამ გამოდის: ბრაზილიელთა ეროვნული გუნდი შინ საუკეთესო შემადგენლობით, ფაქტობრივად, აღარ თამაშობს. ნუ, თუ შესარჩევი მატჩი არ უწევს... ხოლო, რაც შეეხება ადგილობრივ მოთამაშეებს, ისინი ნაკრებში შეძრომას სპეციფიკურ მომენტებში ახერხებენ — ორი წლის წინ, გვატემალასთან ბრაზილიამ მხოლოდ „შინაური" ფეხბურთელებით ითამაშა.

პარასკევის თამაში კი ცხრა თვეში მეოთხეა, რომელსაც პენტაკამპეონები ლონდონში ჩაატარებენ — აი, კომერცია!

„ინგლისი ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაძლიერდა — ასე შეაფასა მომავალი სპარინგ-პარტნიორი დუნგამ — ისინი მხოლოდ საჯარიმოში მაღალი ბურთების ჩაგდებით აღარ არიან დაკავებულნი. ინგლისში ტექნიკური ფეხბურთელების რაოდენობა გაიზარდა".

**ბაჩუნა ძიდია**

# გაბრიელს მეფობა მოუნდა




**გაბრიელ ჰაინცე** „რეალში" გადასვლასთან ყოფილა ძალიან ახლოს — „მანჩესტერ იუნაიტედი" არგენტინელ მცველს 5 მილიონ გირვანქად უშვებს „სამეფო გუნდში".

სხვათა შორის, ჰაინცე შაბათს ესპანეთის დედაქალაქში ჩაფრინდა და „რეალის" შეფებს თავისი ინტერესის შესახებ მოუთხრო. დანარჩენს ჩვენ მოვუვლითო, თქვეს ფეხბურთელთან შეხვედრის შემდეგ მადრიდელებმა.

რად უნდა „რეალს" ჰაინცე? რად და, რობერტო კარლოსის ნაცვლად. მოგეხსენებათ, 34 წლის ბრაზილიელი სუპერვარსკვლავი ათი დღის შემდეგ მადრიდული გუნდის ფეხბურთელი აღარ იქნება.

„დარწმუნებული ვარ, კარგი შეთავაზების შემთხვევაში „მანჩესტერ იუნაიტედი" გამყიდის" — თქვა 29 წლის ჰაინცემ, რომელიც ალექს ფერგიუსონმა 2004 წელს 6,9 მილიონ გირვანქად იყიდა.

ამბობენ, რომ არგენტინელის ყიდვით „იუვენტუსიც" არის დაინტერესებული.

**ბაჩუნა ძიდია**

# მთაში ფეხბურთს რა უნდა?!

**ზღვის** დონიდან 2500 მეტრზე მაღლა საერთაშორისო მატჩების გამართვა დღეიდან აიკრძალა — ამის შესახებ ზეპ ბლატერმა განაცხადა.

ფიფას პრეზიდენტის თქმით, ბოლივიას და ეკვადორის ნაკრებები სწორედ სიმაღლის და გაიშვიათებული ჰაერის წყალობით უგებდნენ ძლიერ მეტოქეებს, რომელთაც სუნთქვა უჭირდათ.

„ვიცი, რომ ბოლივია, ეკვადორი და კოლუმბია ამ გადაწყვეტილებით უკმაყოფილონი დარჩებიან, მაგრამ ჩვენ ფეხბურთელების ჯანმრთელობაზე უნდა ვიზრუნოთ" — განაცხადა ბლატერმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ცეცხლოვანი ჩხუბბურთი

**ისრაელის** ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში „ჰაპოელსა" და „მაკაბის" შორის, ქომაგებმა ერთმანეთს უტყაპუნეს. ეს თამაშის ბოლოს იყო, თავიდან კი მოედანზე მაშხალები გადაყარეს და იქაურობა კვამლში გაეხვა. კარგა ხანს იცადეს, სანამ ბოლი გაქრებოდა და მატჩი დაიწყებოდა.

დასასრულს „ჰაპოელის" ორი ფანი მინდორზე შევარდა და ერთმა „მაკაბის" გულშემატკივრებისკენ მაშხალა ისროლა. მსროლელს ამის გამო მაკაბელი ფეხბურთელის მუშტი მოხვდა და გუნდებს შორის ჩხუბი გაჩაღდა, რომელშიც ქომაგებიც ჩაერივნენ. მოგვიანებით, როცა მუშტისმქნეველნი დააშოშმინეს, ჩხუბის დამწყები მაკაბელი მსაჯმა გააძევა. თამაშის მიწურულს კი მას მეორეც მიჰყვა, რადგან მეტოქეს გაშლილი ფეხები გამეტებით ჩაარტყა.

ჩხუბბურთი „ჰაპოელმა" 3:0 მოიგო...

**ვაჟა ხუციშვილი**



# მშვიდად, გრძელო!

**რაფაელ ბენიტესმა** დაამშვიდა პიტერ კრაუჩი და უთხრა, რომ ამ ზაფხულს მის გაყიდვას არ აპირებს. ჩემპიონთა ლიგის ფინალის წაგების შემდეგ „ლივერპული" შემადგენლობის გაძლიერებას გეგმავს, მანამდე კი რამდენიმე ფეხბურთელს გაუშვებს. კრაუჩს „ნიუკასლი" ეპატიჟებოდა, მაგრამ ფორვარდმა თქვა, ბენიტესი მტოვებსო.

„მან მითხრა, რომ ვჭირდები და ეს უკვე საკმარისია. „ლივერპულის" დარ გუნდში ადგილის დასამკვიდრებლად დიდი ბრძოლაა საჭირო. მით უმეტეს, როცა მწვრთნელი ხშირად მიმართავს როტაციას" — განაცხადა გრძელმა ფორვარდმა.

## გვერდზე პირველი ჯერარდია

„**ლივერპულის**" ქომაგებმა სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად სტივენ ჯერარდი დაასახელეს.

გამოკითხვა კლუბის ვებგვერდზე ჩატარდა და კაპიტანმა 60 ქულა მოაგროვა. მეორეზე დირკ კუიტი (42) გავიდა, მესამე-მეოთხე ადგილები კი კრეიგ ბელამიმ და ხაბი ალონსომ (25) გაიყვეს.

## ნანიმ პრემიერლიგა გაამხილა

**სპორტინგელმა** ნანიმ, რომლის გადაბირებაც „მანჩესტერს" და „ტოტენჰემს" სურთ, განაცხადა, რომ სიამოვნებით ითამაშებს პრემიერლიგაში. „მამლების" შეფი დანიელ ლევი ამ კვირაში შეხვდება ლისაბონელ კოლეგას და 20 წლის ნიჭიერი ნახევარმცველის ტრანსფერზე შეევაჭრება.

ალექს ფერგიუსონის აზრით კი, ნანი კრიშტიანუ რონალდუსავით გაიბრწყინებს. პორტუგალიელმა „სპორტინგთან" კონტრაქტის გახანგრძლივება იუარა, ხოლო „დეილი მირორს" განუცხადა: „პრემიერლიგა ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში და სიამოვნებით ვითამაშებ ინგლისში. ჯერჯერობით კონკრეტულად არც ერთ კლუბს არ მოუმართავს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, პრემიერლიგაში გადასვლით ნაბიჯს წინ გადავდგამ".

## ოუენი მოაწერს

**ოუენ ჰარგრივსი** „მანჩესტერთან" კონტრაქტს ალბათ დღეს გააფორმებს. ფეხბურთელმაც და კლუბებმაც ყველაფერი მოაგვარეს, ინგლისელმა კი უკვე გაიარა სამედიცინო შემოწმება. მის სანაცვლოდ „მანჩესტერი" „ბაიერნს" 17 მილიონ გირვანქას გადაუხდის.

„გერმანიაში ყველაფერი მოვიგე და ახლა კოლექციას ინგლისური ჯილდოებიც უნდა მოვუმატო" — თქვა ჰარგრივსმა.

## ძიკემ დაიჟინა

„**ვილიარეალის**" ურუგვაელი ფორვარდი დიეგო ფორლანი, შესაძლოა, „ვალენსიაში" აღმოჩნდეს — წერს „ასი".

„ღამურების" მწვრთნელი კიკე ფლორესი დაჟინებით სთხოვს შეფებს ურუგვაელის ყიდვას. ფორლანის შეძენა ვალენსიელებს 23 მილიონ 500 ათასი ევრო დაუჯდებათ.

## კვარესმას ოცი გაუმზადეს

**პორტუგალიის** ნაკრებისა და „პორტუს" ნახევარმცველმა რიკარდუ კვარესმამ მიუნხენის „ბაიერნში" გადასვლა იუარა. ახლა მის გადაბირებას მადრიდის „ატლეტიკო" ცდილობს. მადრიდელები 20 მილიონ ევროს არ დაიშურებენ კვარესმას სანაცვლოდ.

## ჩერჩესოვი დაზვერვაზე

**მოსკოვის** „სპარტაკს" ბეტისელი რაფაელ სობისის ყიდვა უნდა. „სპორტ-ექსპრესის" ცნობით, „სპარტაკის" სპორტული დირექტორი სტანისლავ ჩერჩესოვი გუშინწინ ვიგოში იყო და „სელტა" — „ბეტისის" მატჩს დაესწრო ბრაზილიელი ფორვარდის სანახავად.

## მირჩა სტამბოლს ირჩევს

**დონეცკის** „შახტარის" აწ უკვე ყოფილი მწვრთნელი მირჩა ლუჩესკუ მომავალი სეზონიდან „ბეშიქთაშს" ჩაიბარებს. თურქული „საბაჰის" ცნობით, რუმინელი ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს სტამბოლურ კლუბთან და სეზონში 2 მილიონ 500 ათას ევროს მიიღებს.

ლუჩესკუს 2000-02 წლებშიც უმუშავია „ბეშიქთაშში", საიდანაც ორი კვირის წინ ჟან ტიგანა გაათავისუფლეს.

## გაქცევა თასიდან

**რუმინეთის** თასის მოგებიდან ორ დღეში ბუქარესტის „რაპიდის" მწვრთნელი რაზვან ლუჩესკუ (მირჩა ლუჩესკუს შვილი) გადადგა.

„გადაწყვეტილება ფინალამდე მივიღე, მაგრამ არ გავამხილე, რათა გუნდზე უარყოფითად არ ემოქმედა" — განაცხადა რაზვანმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

### არგენტინა
კლაუსურა. XVI ტური

ხიმნასია (ლ) 0:3 რივერ პლეიტი

### ბრაზილია
სერია A. III ტური

კრუზეირო 3:4 პარანა

ფლამენგო 2:2 ბოტაფოგო

გოიასი 3:1 ჟუვენტუდე

### მექსიკა
კლაუსურა

პლეი ოფი. ფინალი

საპასუხო მატჩი

პაჩუკა 1:1 ამერიკა (2:1)

### აშშ
MLS. IX ტური

ჩიკაგო 0:0 სოლტ ლეიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ის კვლავ სჭირდება სამშობლოს!
## რომ უშვებდით, სად უშვებდითო...



**დევიდ ბექჰემი** სტივ მაკლარენმა ნაკრებში დააბრუნა!

პარასკევს ინგლისელები „უემბლიზე“ ბრაზილიის ნაკრებთან გაივარჯიშებენ, ხუთი დღის შემდეგ კი ევრო 2008-ის შესარჩევი მატჩი ელით ესტონეთთან.

მაკლარენი: „ესტონელებთან ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა გვაქვს სათამაშო, ამ დღეს ჩვენ აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ და ამიტომაც ვცდილობ, შევარჩიო ის შემადგენლობა, რომელიც დღეს ყველაზე უკეთ შეძლებს ამ ამოცანისთვის თავის გართმევას. დევიდიც სწორედ ამიტომ გამოვიძახე“.

და როგორც თავად მაკლარენი ბრძანებს, „რეალის“ ვარსკვლავი ამ გამოძახებამ მეცხრე ცაზე ააფრინა...

„დევიდის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რასაც, მართალი გითხრათ, ველოდი. დღეს ის ჩინებულ ფორმაშია და ნაკრებში დაბრუნების ღირსი გახლავთ. თან, სანაკრებო ფეხბურთში სტუმრად გამარჯვება მეტისმეტად რთული საქმეა, დევიდს კი ამის გამოცდილება აქვს, ასე რომ, მისი ჩვენთან ყოფნა ფრიად მნიშვნელოვანი იქნება“.

ბექჰემი რომ მართლაც კარგ ფორმაშია, ამას „რეალის“ ბოლო შეხვედრაში, „დეპორტივო ლა კორუნიას“ კარში გატანილი სამი მადრიდული გოლიდან ორის ასისტენტობაც ადასტურებს.

ისევ მაკლარენი: „შობის შემდეგ დევიდი სულ აუმჯობესებს თამაშს. ის უკვე იმ დევიდ ბექჰემს ემსგავსება, რომლის ფეხბურთი ინგლისის ნაკრებისთვის აუცილებელია“.

მაშ ასე, ბექჰემი 228-დღიანი უარყოფის შემდეგ კვლავ ნაკრებშია.

დღეს ინგლისელი ჟურნალისტები იგონებენ იმასაც, რომ სტივ მაკლარენმა თავის პირველსავე ინტერვიუში განაცხადა, რომ ნაკრების ყოფილი კაპიტანი, სავარაუდოდ, აღარასოდეს მოირგებდა ეროვნული გუნდის ფორმას. ბექჰემზე ხელი ჩაიქნია მაკლარენის გამოცდილმა და მრავლისმცოდნე ასისტენტმა ტერი ვენეიბლზმაც. ვენეიბლზზე განსაკუთრებით ბექჰის ამერიკაში, კერძოდ, „ლოს ანჯელეს გალაქსიში“ მომავალმა გამგზავრებამ იმოქმედა, თუმცა როგორც თავად დევიდმა თქვა, ამერიკაში გადასვლის შემდეგ ის უფრო უკეთ მოემზადება სანაკრებოდ, ვიდრე ევროპაში ემზადებოდა.

რატომ? დევიდის გარდა კაცმა არ იცის!

ინგლისურმა გაზეთებმა კი ბექჰემის ნაკრებში დაბრუნებისგან ნამდვილი მოვლენა შექმნეს და რაკილა ბრაზილიასთან ამხანაგური შეხვედრაც კარს აქვთ მომდგარი, „რეალის“ ბრაზილიელ ვარსკვლავ რობერტო კარლოსს მიაკითხეს.

„უპირველეს ყოვლისა, იმას მოგახსენებთ, რომ დევიდ ბექჰემი ნაკრებიდან ერთი დღითაც არ უნდა დაეთხოვათ. ის მუდმივად ნაკრებში უნდა ყოფილიყო — თქვა ინგლისელის ერთ-ერთმა საუკეთესო მეგობარმა — ის იმ ფეხბურთელთა კატეგორიას განეკუთვნება, რომლებიც გამხნევებენ და რომელთა მხარდამხარ თამაშიც ნამდვილ სიამოვნებას განიჭებს. ის, როგორც ფეხბურთელი, ძალიან ბრაზილიელი ინგლისელია. მთელი ამ ხნის განმავლობაში მადრიდის „რეალისთვის“ დევიდი, ჯერ ერთი, მეტისმეტად სასარგებლო გახლდათ და მეორეც, როგორც მოედანზე, ასევე მოედანს მიღმა ნამდვილი მაგალითი გახლდათ. როგორც მცველმა, ის შემიძლია გითხრათ, რომ დევიდის წინააღმდეგ თამაში მეტისმეტად ძნელია. იგი ძალიან ძლიერი და ჭკვიანია. მის ფეხბურთში უმთავრესი სიზუსტეა. ბექჰემი ბურთს დახვეწილად ეპყრობა, პასებს მოზომილად ანაწილებს. მეტად ძლიერია საჯარიმოების დროსაც, ასეთი ოსტატის განეიტრალება კი ჭირს“.

გუშინდელ გაზეთებში კი გაჩნდა ცნობა, რომ, შესაძლოა, ბექჰემი „გალაქსიდან“ რომელიმე ინგლისურ კლუბში გაანათხოვრონ — ბექჰის მსურველები არიან „ბლექბერნი“, „ევერტონი“ და „ნიუკასლი“. თუმცა ამერიკელებმა ეს ამბავი გუშინვე უარყვეს...

ეს, რაც შეეხებოდა ბექჰემს, ახლა კი მაიკლ ოუენზე, რომელმაც ალბანეთის ნაკრებთან ინგლისის B ნაკრების შემადგენლობაში მოსინჯა ძალა. „ნიუკასლის“ ვარსკვლავმა, რომელმაც მძიმე ტრავმის შემდეგ დიდი ხანი არ არის, რაც ისევ გააგორა ბურთი, ხსენებულ მატჩში მოედანზე მთელი 90 წუთი დაყო.

„ვუყურე მაიკლს და ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ გუნდში ახალი ფეხბურთელი გვყავდა მოწვეული. ოუენის თამაში ყველა ასპექტით მომეწონა. კარგი იყო გამწვავების თვალსაზრისითაც. ერთადერთი, რაც ალბანელებთან მას დააკლდა, გოლი გახლდათ, რაც ნამცხვარზე შემოდებული მარწყვივით იქნებოდა“ — თქვა მაკლარენმა.

ცნობისთვის: ინგლისის B ნაკრებმა ალბანელებს 3:1 მოუგო.

**ბაკუნა ქედია**


მაიკლ ოუენი ალბანეთთან მატჩში დაუბრუნდა ნაკრებს



# ლალასი აღელდა

**ამერიკული** „ლოს ანჯელეს გალაქსის“ გენერალურმა მენეჯერმა ალექსი ლალასმა გააფრთხილა ინგლისის ნაკრების თავკაცი სტივ მაკლარენი, რომ სულაც არ გაეხარდება დევიდ ბექჰემის უახარტო სანაკრებო ამხანაგურებზე გაშვება.

32 წლის ბექჰემის ნაკრებში დაბრუნება ამერიკელებისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა.

„ფეხბურთელს წინ ვერ გადაუდგები და ბექჰის ნაკრებში გამოძახება მშვენიერია. ეს ნიშნავს, რომ „გალაქსის“ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ჰყავს, მაგრამ ბიზნესი თავისას ითხოვს. ამიტომ, ჩვენ ყოველთვის გავუშვებთ მას, ოღონდ ნამდვილ თამაშზე და ფიფას დადგენილი წესებით“.

„გალაქსის“ უკვე ათასობით სეზონური ბილეთი აქვს გაყიდული ბექჰემის სახელის გამოყენებით და სულაც არ უნდა, რომ კლუბის გარეკლამებული თამაში ნაკრების ამხანაგურს დაემთხვას.

ლალასს უკვე აქვს ინგლისის ნაკრების ხუთი საშემოდგომო თამაშის სია და იოლი მისახვედრია, რასაც უფრთხის. თანაც, მას არ სჯერა, რომ ამერიკულ ლიგაში ბექჰემი ფორმიდან ამოვარდება და ნაკრებში არ მიიწვევენ.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ბოლოს ნენსიმ დაისვენა



**აი,** ყოჩაღ ნენსი დელ ოლიო — იტალიელო ქალო, ერთი წლის წინ ინგლისის ნაკრების შვედ მწვრთნელ სვენ გორან ერიკსონს რომ დაშორდი. შენ ყვითელ პრესას ახალი თემა მიეცი: სვენს ახლა ცოლად მიჰყვები.

„ჩვენ უკვე დანიშნულები ვართ და ქორწილის დეტალებს ვათანხმებთ. ბავშვის გაჩენასაც ვაპირებთ“ — უთხრა ჟურნალისტებს ლამაზმანმა.

ნენსი დელ ოლიო, გარდა იმისა, რომ ერიკსონის საყვარელია, იურისტიც გახლავთ და, როგორც ამბობენ, საკმაოდ წარმატებულიც. 47 წლისამ, როგორც ხედავთ, თავიდან მოინადირა იმ კაცის გული, რომელსაც ერთგულების შესახებ, რამდენადაც მისი ბიოგრაფიიდან ვასკვნით, მთლად კარგად არ გაუგია. გეხსომებათ, ნენსი ნენსიდ და, იმავდროულად, ჩვენი სვენი ხან ტელეწამყვან ულრიკა იონსონს ჩაუგორდა ლოგინში და ხან ფერია ელამს, რომელიც ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაში მუშაობდა.

ცნობისთვის: ქალებზე წუწკი სვენ გორან ერიკსონი 59 წლისაა.

**ბაკუნა ქედია**

## გამყიდეთ!

**„ვესტ ჰემის“** კაპიტანმა ნაიჯელ რეო-კოკერმა კლუბს ტრანსფერზე დაყენება მოსთხოვა. მწვრთნელმა ალან კერბიშლიმ კი თქვა, რომ კაპიტნის მყიდველს რვა მილიონი გირვანქის გადახდა მოუწევს. რეო-კოკერის შეძენა „ტოტენჰემს“, „ასტონ ვილას“, „ნიუკასლს“ და „არსენალს“ უნდათ.

## რამოსის სიტი

**„დეილი მირორის“** ცნობით, უთავკაცოდ დარჩენილ „მანჩესტერ სიტის“ მწვრთნელად სევილიელი ხუანდე რამოსი უნდა.

რამოსი იმ შემთხვევაში დათანხმდება პრემიერლიგაში გადასვლას, თუ კლუბს ფულიანი პატრონი გამოუჩნდება.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ერთი დოლარი ტრანსფერისთვის

## აბრამოვიჩმა ლურჯი ჯიბე ამოიკერა

**რომან აბრამოვიჩი** „ჩელსის" გაძლიერებისთვის მილიონებს აღარ გადაყრის — რუსმა მილიარდერმა ლონდონური კლუბის დირექტორატს გამოუცხადა, ამიერიდან ბიზნესი ჩვეულებრივი მეთოდებით უნდა მართოთ, ჩემი საფულის იმედად ნუღარ იქნებითო.

განვმარტავთ: აბრამოვიჩი კვლავაც „ჩელსის" ერთადერთ მეპატრონედ რჩება, ოღონდ კლუბის ავტორიტარულ მართვას თავს ანებებს — გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად აღარ მიიღებს. ეს ამბავი ჩუკოტკის გუბერნატორმა ორშაბათს პიტერ კინიონს, იუჯინ, ივივე ევგენი, ტენენბაუმსა და ბრუს ბუკს განუცხადა. თათბირზე, რომელზეც „ჩელსის" შეფები კლუბის სამომავლო სტრატეგიას იხილავდნენ, მწვრთნელი ჟოზე მაურინიუ არ მიუწვევიათ.

და რა გამოვიდა? ნუთუ რუსი კაცის უძირო საფულეზე ბოქლომის დადება „ჩელსიდან" ჯონ ტერისა და ფრენკ ლამპარდის წასვლას გამოიწვევს? ამ ორმა ინგლისელმა ვარსკვლავმა ხომ კლუბთან ახალი საკონტრაქტო პირობები ვერ შეათანხმა, აბრამოვიჩმა კი, თავის მხრივ, მკაფიოდ განაცხადა, რომ ხელფასებს აღარ გაზრდის. დიახ, მთელი საქმე ხელფასშია — ტერი და ლამპარდი ფიქრობენ, რომ მათ ანდრეი შევჩენკოსა და მიხაელ ბალაკზე ნაკლები შემოსავალი არ უნდა ჰქონდეთ და ამიტომ ახალი ხელშეკრულებების გაფორმება ახლავე სურთ, თუმც ძველი კიდევ ორი წელიწადი იმოქმედებს.



რომან აბრამოვიჩმა „ჩელსისთვის" ხარჯვას დარია ჟუკოვასთვის ხარჯვა ამჯობინა

ერთი სიტყვით, სურათი ასეთია: ფრენკ ლამპარდი (მის მაგალითზე ვილაპარაკოთ), რომელიც კვირაში 118 ათას გირვანქას იღებს, შესაძლოა, იძულებული გახდეს და „ჩელსიში" კიდევ ერთ წელიწადს დარჩეს, შემდეგ ზაფხულს კი აუცილებლად გაიყიდება, რადგან თუ მაშინაც არ გაყიდეს, თავისუფალი აგენტის ქუდს დაიხურავს და ლონდონელებს უკომპენსაციოდ დატოვებს.

თუმცა არის მეორე ვარიანტიც: „ჩელსიმ" ლამპარდი ახლავე რომ გაყიდოს, ამ სვლით თავიდან მოიშორებს უკმაყოფილო ადამიანს და გუნდში კარგ გარემოს შეინარჩუნებს, მაგრამ ვაი, რომ ჯერჯერობით ლამპარდის ყიდვის სერიოზული სურვილი არავის გამოუთქვამს.

მოკლედ, აბრამოვიჩი მკაფიოდ აცხადებს, რომ ამიერიდან კლუბის მომგებიანად მართვას დირექტორებს ავალებს, თავად კი, უწინდელისგან განსხვავებით, თითქმის მუდმივად ლონდონში ყოფნას აღარ აპირებს, რადგან ახალ სატრფოსთან დარია ჟუკოვასთან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ხეტიალი სურს.

„ჩელსის" კი, როგორც ადრევე ითქვა, სამი ახალი ფეხბურთელის ყიდვა სურს. რა ფულით? რაკილა აბრამოვიჩის ჯიბე ამოკერილია, თავის სალაროში უნდა მოიჩხრიკოს რამე. ამწუთას „რედინგიდან" უკაპიკოდ „გალურჯდა" სტივ სიდველი და, როგორც ამბობენ, ასევე მოიქცევა ბაიერნელი კლაუდიო პიზაროც.

კიდევ, ივლისში ლონდონში ერთ დოლარად ჩავა ისედაც „ჩელსის" საკუთრება ბრაზილიელი ალექსი, რომელიც, მოგეხსენებათ, „პსვ ეინდჰოვენში" თამაშობდა. დაგვეთანხმებით, ეს ერთდოლარიანი ისტორია ნამდვილი პაროდიაა აბრამოვიჩის მმართველობის პირველი პერიოდისა, როდესაც რუსმა ოლიგარქმა ოთხ თვეში 74 მილიონი გირვანქა გაისროლა. სულ, დღემდე, აბრამოვიჩმა ტრანსფერებზე 250 მილიონი დოლარი გაიღო...

**ბაჩუნა ბედია**

# მითხარი, რა მანქანა გყავს და გეტყვი...

## რობი სევიჯი

ნახევარმცველი

დაიბადა 1974 წლის 18 ოქტომბერს ვრექსემში

სიმაღლე: 1,85 მეტრი, წონა: 70 კგ

კარიერა: 1993-94 წლები — „მანჩესტერ იუნაიტედი" (0 მატჩი, 0 გოლი), 1994-97 წლები — „ქრიუ" (77 მატჩი, 10 გოლი), 1997-2002 წლები — „ლესტერი" (174 მატჩი, 8 გოლი), 2002-04 წლები — „ბირმინგემი" (82 მატჩი, 11 გოლი), 2004 წლიდან — „ბლექბერნი" (64 მატჩი, 1 გოლი)

1995-2005 წლებში თამაშობდა უელსის ნაკრებში (39 მატჩი, 2 გოლი)





## LAMBORGHINI

გამოშვების თარიღი: 2003 წელი

სიგრძე: 4,300 მეტრი

სიგანე: 1,900 მეტრი

სიმაღლე: 1,165 მეტრი

წონა: 1 430 კგ

ცილინდრი: 10

ძრავის კუბატურა: 5,0

ავტომატური და მექანიკური გადაცემათა კოლოფი

სიჩქარე: 388 კმ/სთ

100 კმ/სთ-ს ავითარებს 3,8 წამში

ფასი: 185 000 დოლარი

## ოლამ დაურეკა

**„სოშოს"** მწვრთნელმა ალენ პერენმა გაამხილა, რომ შესთავაზეს „ლიონის" თავკაცობა, საიდანაც ორი დღის წინ ჟერარ ულიე წავიდა.

ალენ პერენს ლიონელთა პრეზიდენტი ჟან-მიშელ ოლა დაუკავშირდა...

„მან მითხრა, რომ ჩემს კანდიდატურას განიხილავენ, რამაც ძალიან გამახარა. ახლა ჩვენი კლუბის პრეზიდენტს უნდა მოელაპარაკოს და თუ მორიგდნენ, უარს არ ვიტყვი. თუმც ძნელი იქნება „ლიონის" მწვრთნელობა, რომელმაც ზედიზედ ექვსჯერ მოიგო ჩემპიონატი".

## ფაბიანსკი მეთოფეა

**პოლონეთის** ნაკრებისა და „ლეგიას" მეკარე ლუკაშ ფაბიანსკი „არსენალში" გადავიდა. 22 წლის გოლკიპერი იენს ლემანს შეცვლის, რომელიც მომავალ ზაფხულს წავა.

ფაბიანსკი პოლონეთის საუკეთესო მეკარედ ორჯერ დაასახელეს. მან უკვე გაიარა სამედიცინო შემოწმება ლონდონში და გუნდს მოსამზადებელ პერიოდში შეუერთდება.

## რუმინელები წყვილად გაყიდეს

**„ვოლფსბურგმა"** „კოტბუსიდან" ორი რუმინელი გადაიბირა: ნახევარმცველი ვლად მუნტიანუ და ფორვარდი სერგიუ რადუ. „მგლებიდან" კი მაიკ ჰანკე „ჰანოვერში" გადავიდა, დიეგო კლიმოვიჩი — „დორტმუნდში".

მუნტიანუმ ამ სეზონში 11 გოლი გაიტანა, ხოლო რადუმ 14. პირველმა ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა, მეორემ კი — სამწლიანი.

## აგენტი ბერბატოვს აგრძელებს

**ბულგარელი** დიმიტარ ბერბატოვი „ტოტენჰემთან" კონტრაქტს გაახანგრძლივებს. ამის შესახებ ფორვარდის აგენტმა ემილ დანჩევმა განაცხადა.

ბულგარელის ყიდვა „მანჩესტერს", „ჩელსის" და „ლივერპულს" უნდათ...

„ბერბატოვი ახლა შვებულებაშია, „ტოტენჰემის" შეფები კი მისთვის ახალ კონტრაქტს ამზადებენ. ჩვენ მალე დავიწყებთ მოლაპარაკებას და ალბათ მოვრიგდებით".

## ჩიკი ანრის ჩაუსაფრდა

**„ბარსელონას"** სპორტულმა დირექტორმა ჩიკი ბეგირისტაინმა განაცხადა, რომ ტიერი ანრი „არსენალიდან" წასვლას თუ გადაწყვეტს, უმალ შესთავაზებენ კონტრაქტს...

„როცა დიდი ფეხბურთელები „ბარსაში" თამაშის სურვილს გამოთქვამენ და მათი მოსვლა გუნდში დისჰარმონიას არ გამოიწვევს, სიამოვნებით მივიღებთ".

## სისე ლივერპულზე ჰკიდია

**„მარსელის"** ფორვარდ ჯიბრილ სისეს გუნდში დარჩენა უნდა, მაგრამ თუ პრემიერლიგის კლუბი მიიპატიჟებს, აუცილებლად წავა. ფრანგი თავდამსხმელი „ლივერპულმა" „მარსელს" შარშან ერთი სეზონით ათხოვა.

„მეტი გოლის გატანა კი შემეძლო, თუმც ტრავმის მოშუშების შემდეგ ფორმაში ბოლომდე ვერ ჩავდექი. „მარსელში" დავრჩებოდი, მაგრამ ეს ჩემზე არ არის დამოკიდებული, რადგან „ლივერპულს" ვეკუთვნი".

## ივანის კვირა

**„ესპანიოლის"** ნახევარმცველი ივან დე ლა პენია კონტრაქტის გახანგრძლივებას აპირებს.

„ჩვენ უკვე შევთანხმდით, რომ მომავალ კვირაში მოლაპარაკებას დავიწყებთ ახალ ხელშეკრულებაზე. დარწმუნებული ვარ, მალე მოვრიგდებით, რადგან აქ თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში" — განაცხადა დე ლა პენიამ.

## მოგზაური ჰანკე

**„ჰანოვერმა"** „ვოლფსბურგიდან" მაიკ ჰანკე იყიდა. 23 წლის ფორვარდმა ორწლიანი ხელშეკრულება გააფორმა და მის სანაცვლოდ 3 მილიონ 500 ათასი ევრო გადაიხადეს.

ჰანკე 2005-ში „შალკედან" გადავიდა „მგლებში" და სამ სეზონში უკვე მესამე კლუბი გამოიცვალა.

## მარცხენა სილვა

**„ვალენსიას"** ნახევარმცველი დავიდ სილვა, რომელსაც ჯამაგირს არ უმატებენ, შესაძლოა, „ლივერპულში" აღმოჩნდეს — წერს „დეილი მეილი".

„ლივერპულიდან" ამ ზაფხულს მიდიან ბუდევეინ ზენდენი, მარკ გონსალესი და ჰარი კიუელი, რის გამოც მარცხენა ფლანგზე ადგილი თავისუფლდება.

რაფაელ ბენიტესს სილვას ტრანსფერი თუ არ გამოუვა, ფრანგული „ლიონიდან" ფლორენ მალუდას, ან „პორტსმუთიდან" მეტ ტეილორის გადაბირებას ეცდება. ტეილორის სანაცვლოდ 5, მილიონ გირვანქას ითხოვენ.

უახლოეს დღეებში კი „ლივერპული" სევილიელი დანიელ ალვეშის და სარაგოსელი გაბრიელ მილიტოს შეძენასაც აპირებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა ლიგის დასრულებამდე სულ ორი ტური დარჩა, სიტუაცია კი უკიდურესად დაძაბულია — საჩემპიონო რბოლაში მადრიდის „რეალი", „ბარსელონა" და „სევილია" მონაწილეობენ. ოდნავი უპირატესობა სამეფო გუნდს აქვს, თუმცა მადრიდელთა მცირედი წაბორძიკება და, ჩემპიონობას შეიძლება სხვა გუნდი დაეპატრონოს. „სარაგოსასთან" რთულ მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე „რეალის" სპორტულ დირექტორ პრედრაგ მიატოვიჩს „ლას პროვინსიანი" ესაუბრა...



# მიატოვიჩი სკამზე ვერ ჯდება
## რეალი უკვე ჩემპიონია!

**— სპორტული დირექტორის თანამდებობა ფეხბურთელის კარიერის დასრულებისთანავე ჩაიბარეთ. ეს ორი საქმე ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება?**

— იყო პროფესიონალი ფეხბურთელი, ნიშნავს, რომ მსოფლიოში საუკეთესო პროფესია აირჩიე და, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ამას აქტიურ სპორტთან გამომშვიდობების შემდეგ ამჩნევ... სპორტულ დირექტორად ყოფნაც შესანიშნავია, თუმცა ბევრ და რთულ შრომას, პასუხისმგებლობას და დაძაბულობას უკავშირდება. დირექტორობა შენგან ქანცგამწყვეტ მუშაობას მოითხოვს, მაგრამ მე მომწონს ეს პროფესია.

**— როგორია დღევანდელი ფეხბურთი?**

— ძალიან განვითარდა, ევოლუცია განიცადა და ფიზიკური მომზადება უმაღლეს დონეზე თუ არ გაქვს, ძნელია, წარმატებას მიაღწიო. ფიზმომზადებას რომ დიდი ყურადღება ექცევა, ნორმალურია — დღეს ხომ უფრო მეტ მატჩებს თამაშობენ, ვიდრე ორიოსამი წლის წინ. ისე, დირექტორობაში ერთი რამ ძალიან ცუდია — როცა შენი გუნდი მინდორზეა, შენ კი ტრიბუნაზე ზიხარ და ბიჭებს ვერაფრით ეხმარები. საშინლად განვიცდი „რეალის" მატჩებისას.

**— ალბათ, უძლურობის შეგრძნება გაქვთ...**

— საშინელებაა... უძლურება და ნერვიულობა... როცა ფეხბურთელი ხარ, ყოველთვის ფიქრობ: „ახლა ბურთს მივიღებ და რამეს გავაკეთებ." მაგრამ ტრიბუნიდან „რეალს" რითი უნდა დავეხმარო?!

**— ტრიბუნაზე ისე მოუსვენრად ზიხართ, რომ კაცს ეგონება — აი, სადაცაა, მიატოვიჩი ბურთს მიიღებს და მოწინააღმდეგის კარისკენ გაიჭრება...**

— როგორც უკვე გითხარით, მატჩების დროს ვღელავ. თუმცა ვცდილობ, სპორტული დირექტორის თანამდებობაზე საქმე პირნათლად ვაკეთო. მსოფლიოს საუკეთესო კლუბში ვმუშაობ და ოდნავი მოდუნებაც არ მეპატიება. პრედრაგ მიატოვიჩის ყოველი გადაწყვეტილება, მის მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯი ხალხის მსჯელობის საგანია. ვიცი, რომ ასეთი თანამდებობა მაქვს და დასვენება-განცხრომისთვის არ მცალია.

**— „რეალის" სპორტული დირექტორის ნებისმიერ ნაბიჯზე მართლაც მთელი მსოფლიო საუბრობს. ამ წნეხს როგორ უძლებთ?**

— საკმაოდ კარგად. ხალხი ჩემს გადაწყვეტილებებს პატივს სცემს. რა თქმა უნდა, არიან გულშემატკივრები, რომლებთანაც ვერ ვთანხმდები, თუმცა ერთმანეთს ვაფასებთ და გარკვეულ ზღვარს მიღმა არასოდეს გადავდივართ. საერთოდ, ჩხუბსა და დაპირისპირებას ყოველთვის მშვიდ დიალოგს ვარჩევ და ეს ძალიან მშველის. ხშირად ჩემთან გაცეცხლებული პიროვნება მოჭრილა, მე კი ის არგუმენტებითა და მშვიდი საუბრით დამიწყნარებია. იცით, წლეულს რა გადავიტანე? „რეალი" კარგად ვერ თამაშობდა, ინჩასებს, ბუნებრივია, ეს სწყინდათ და პასუხს კატეგორიულად ითხოვდნენ... ფანების მესმის — გუნდს სამი წელია, არაფერი მოუგია და მათ პრეტენზიის სრული უფლება აქვთ.

**— ახლა კი ჩემპიონობამდე მხოლოდ ორი მატჩი გაშორებთ...**

— თუ ასე გავაგრძელეთ, გამარჯვება „რეალს" დარჩება. რამდენიმე ხნის წინ ხალხი „რეალის" ასეთ წარმატებას ვერც წარმოიდგენდა, ახლა კი ინჩადა ისევ ჩვენს მხარესაა და გულმხურვალედ გვქომაგობს. ეს გუნდის დამსახურებაა.

**— ცხადია, ოპტიმისტურად იქნებით განწყობილი...**

— არავის გაუკვირდება, თუ ვიტყვი, რომ ჩვენ თავი უკვე ჩემპიონებად წარმოგვიდგენია.

**— თან გუნდი მხოლოდ თავის თავზეა დამოკიდებული...**

— ამას ნებისმიერი ჩვენი მეტოქე ინატრებდა. რა თქმა უნდა, მათი დავიწყებაც არ შეიძლება, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს შედეგებზე ვართ დამოკიდებულნი. ეს სეზონი „რეალისთვის" რთული გამოდგა, თუმცა საკუთარი ძალებისადმი რწმენა არასდროს დაგვიკარგავს და აი, შედეგიც.

**— იმ შემთხვევაში, თუ ჩემპიონი „რეალი" ვერ გახდა, თქვენი აზრით, ოქროს მედლებს ყველაზე მეტად რომელი გუნდი იმსახურებს?**

— რა თქმა უნდა, „ვალენსია". გული მწყდება, რომ „ვილიარეალთან" წაგების შემდეგ ამ გუნდმა ლა ლიგის მოგების თეორიული შანსიც დაკარგა. გულწრფელად ვწუხვარ, კიკე ფლორესის გუნდის წაგების გამო.

**— და საერთოდ როგორ შეაფასებდით „ვალენსიას" სეზონს?**

— ძლიერი და ღირსეული მეტოქეა და მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ კიკე ფლორესმა დიდი სამუშაო ჩაატარა. აბა, დაფიქრდით, „ვალენსია" წამყვან ფეხბურთელთა ტრავმიანობის გამო მთელი სეზონი იტანჯებოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გუნდმა ჩემპიონობის მოგების შესაძლებლობა თითქმის ტურნირის ბოლომდე შეინარჩუნა. ეს უდიდეს პატივისცემას იმსახურებს.

**— ანუ გინდათ თქვათ, რომ „ლამურებს" ოთხეულში ადგილი შემთხვევით არ მოუპოვებიათ...**

— რასაკვირველია. გუნდი რომ ოთხეულშია, უპირველეს ყოვლისა, ეს ძალთა სწორად განაწილების და სტრატეგიული გეგმის სწორად შედგენის დამსახურებაა. ამასთან, „ვალენსიას" თითოეულმა წევრმა თავდაუზოგავად იშრომა. „ლამურათა" წარმატებაში მწვრთნელმაც დიდი წვლილი შეიტანა.

**— ჩანს, ამ გუნდის აქტიურობა მოგეწონათ...**

— ცხადია. „ვალენსია" შარშანდელ, შესანიშნავ სეზონში აღებულ გეზს აგრძელებს. ბოლოს და ბოლოს, „ვალენსია" წლეულს ერთადერთი ესპანური კლუბი იყო, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში ითამაშა. თან ქვეყნის ჩემპიონობაზეც სერიოზულ პრეტენზიებს აცხადებდა. სანჩეს ფლორესს საპასუხისმგებლო მატჩებში მოედანზე ძალიან ახალგაზრდა ფეხბურთელები შეჰყავდა, თუმც ამ პოლიტიკამ გაამართლა — ბიჭები უმაღლესი დონის მოთამაშეებად ჩამოყალიბდნენ, კლუბმა კი მთელი ესპანეთი და ევროპა ტაქტიკა-სტრატეგიით გააკვირვა.

**— რადგან „ვალენსიაზე" ამდენი ვისაუბრეთ, ერთ შეკითხვაზეც მიპასუხეთ. ისინი თქვენნაირი ფინანსური სიმყარით ვერ დაიტრაბახებენ. რას გვეტყვით ამ გუნდის მიერ საამსეზონოდ განხორციელებულ ტრანსფერებზე?**

— „ვალენსია" დიდი გუნდია, რომელსაც ყოველ წელს ტიტულების მოგება უნდა. ვიცი, რომ „ბეტისიდან" ხოაკინის შეძენა „ვალენსიას" ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული ტრანსფერია. სატრანსფერო საქმე მთლიანად ფულზე არ არის დამოკიდებული, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაარკვიო, რა გჭირდება და შემდეგ გაითვალისწინო, რა თანხებს ფლობ. მაგალითად, „რეალს" ერთი ან თუნდაც ორი წლის განმავლობაში საკმარისი რეზერვი ჰქონდა, რათა საერთოდ არავინ, ან, სულ მცირე, მხოლოდ ერთი ფეხბურთელი შეეძინა. თუმცა ყოველი სეზონის წინ ახალ-ახალ გეგმებს აწყობ და მიიჩნევ, რომ იქნებ მოედანზე საქმე უკეთ ახალწვეულებმა გააკეთონ...

**— ფაბიო კაპელოსთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

— მშვენივრად ვუგებთ ერთმანეთს და პრობლემები არც ადრე გვქონია. პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა და მე არჩევანი კაპელოზე შევაჩერეთ და არც შევმცდარვართ — შედეგები დადებითია.

**— მომხრე ხართ იმის, რომ სატრანსფერო საქმეებს მხოლოდ სპორტული დირექტორი უძღვებოდეს?**

— იდეალურ შემთხვევაში, სერიოზული გადაწყვეტილებების მიღებაში ორივე უნდა მონაწილეობდეს. არ მომწონს, როცა კლუბებში ტრანსფერების ამბავს მთლიანად მწვრთნელებს აბარებენ ხოლმე — ხომ შეიძლება, მწვრთნელმა გუნდი დატოვოს, მაშინ ხომ ყველაფერი თავიდან იქნება ასაშენებელი. სპორტული დირექტორი მომავლის გუნდის ჩამოყალიბებაზე ზრუნავს, ოღონდ ამას მწვრთნელთან კონსულტაციის შემდეგ აკეთებს. მიმაჩნია, რომ სპორტულ დირექტორს და მწვრთნელს ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ, თუმცა ხანდახან კამათიც მისაღებია. აბა, გუნდისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებები როგორ უნდა მიიღონ?

**— საამსეზონო პრიმერა ბოლო წლების განმავლობაში ყველაზე დაძაბული გამოდგა...**

— მიხარია, რომ ასეა — დაძაბულობით ფეხბურთი იგებს. არ არის ლამაზი, როცა ჩემპიონის ვინაობა ლა ლიგის დასრულებამდე შვიდი ტურით ადრე ირკვევა. დღეს პრიმერადივიზიონში ფიცხელი ბრძოლაა და ამაშია ფეხბურთის სილამაზე. ლა ლიგა მსოფლიოში ყველაზე საინტერესოა...

## იუვეს დარდი: ლამპარდი

**„იუვენტუსში"** ჯერ არ იციან, ვინ იქნება ახალი მწვრთნელი, მაგრამ, სამაგიეროდ, იციან, რომ ძალიან უნდათ ფრენკ ლამპარდის ყიდვა.

„ნიუს ოფ ზე ვორლდის" ცნობით, ლამპარდი „ჩელსისთან" ახალ კონტრაქტზე ვერ მორიგდა და გამორიცხული არ არის, ამ ზაფხულს წავიდეს. „იუვესაც" ეს სურს და ჩასაფრებულია.

ფიფას ახალი წესის თანახმად, ლამპარდს საკუთარი კონტრაქტის გამოსყიდვა 9 მილიონ გირვანქად შეუძლია.

## ანჩელოტის ცისფერი ოცნება

**რადიო** „ანკიოსთან" ინტერვიუში კარლო ანჩელოტიმ იტალიის ნაკრების მწვრთნელობის სურვილი გაამხილა: „მთელ კარიერას „მილანში" ხომ ვერ გავატარებ? აქ მუშაობის ვადა რომ ამომეწურება, სიამოვნებით ჩავიბარებდი „სკუადრა აძურას", ოღონდ 2010 წლის შემდეგ".

## გავცვალოთ ა და ა?

**„კონტროკამპოს"** ცნობით, „ინტერმა" ლონდონის „არსენალს" ადრიანოს და ტიერი ანრის გაცვლა შესთავაზა. მილანელებს ეს გარიგება ალბათ არ გამოუვათ, რადგან „მეთოფეები" ფრანგის გაშვებას არ აპირებენ. სათადარიგო ვარიანტად კი „ინტერს" კლაუდიო პიზარო შეუგულებია, რომელმაც „ბაიერნთან" კონტრაქტი არ გაახანგრძლივა და წასვლას აპირებს.

## მოქალაქე პეპე

**„მილანი"** მცველის ძიებაშია და „პორტუდან" პეპეს ყიდვას ცდილობს — წერს „კალჩომერკატო".

ამ საქმეში მილანელებს „ჩელსი", „რეალი" და „იუვენტუსი" ეცილებიან.

პეპე ბრაზილიელია, მაგრამ მალე პორტუგალიის მოქალაქე გახდება და ლეგიონერად აღარ ჩაითვლება. მისი ფასი დაახლოებით 20 მილიონი ევროა.

## დაპატიჟებულია ბელგრადში

**„ცრვენა ზვეზდას"** მწვრთნელობა ლუიჯი დე კანიოს შესთავაზეს. იტალიელი სპეციალისტი კვირას მილანში, ზვეზდელთა პრეზიდენტ დრაგან სტოიკოვიჩს შეხვდა და, როგორც ამბობენ, უახლოეს დღეებში ბელგრადში ჩავა საპასუხო ვიზიტით.

დე კანიოს უმუშავია „უდინეზეში", „ნაპოლიში", „რეჯინაში", „ჯენოაში" და „სიენაში". სიენელებს შარშანდელ სეზონში თავკაცობდა და სერია A-ში ადგილი შეუნარჩუნა, თუმც მაინც გაუშვეს.

„ცრვენა ზვეზდას" სავარაუდო მწვრთნელთა სიაში არიან ბოშკო ჯუროვსკი, ლუიჯი დელ ნერი, ალბერტო ძაკერონი, ალბერტო მალეზანი და ექტორ კუპერი.

## მალეელი იაფია

**„ბარსელონამ"** დაადასტურა, რომ „ლივერპულიდან" მოჰამედ სისოკოს შეძენითაა დაინტერესებული.

„ეკიპის" ცნობით, „ბარსა" ადრე რომაელი დანიელე დე როსის გადაყვანაზე ფიქრობდა, მაგრამ იტალიელი გაცილებით ძვირია, ვიდრე მალელი სისოკო. ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში სისოკომ „ბარსას" წინააღმდეგ განსაკუთრებით კარგად ითამაშა და კატალონიელებიც ამით მოხიბლა.

**ბაჩა ხუციშვილი**

# ტურინიდან მილანში მიმავალო ქალო...

## ჯიჯის ტრანსფერის პირველი ნახევარი



**ტურინის** „იუვენტუსის“ და იტალიის ნაკრების მეკარე ჯანლუიჯი ბუფონის საცოლემ, ჩეხმა ალიონა სერედოვამ კონტრაქტი გააფორმა ტელეარხ Mediaset-თან.

მერე რაო, იკითხავთ და აი, პასუხი: ეს ტელეარხი მილანისაა, ანუ ტანმშვენიერმა ალიონამ მილანში უნდა იცხოვროს.

ალბათ მიხვდით, რაშიცაა საქმე — ბუნებრივია, სერედოვას თან ჯიჯიც გაჰყვება და...

ახლა იტალიაში ერთ რამეზე მკითხაობენ: რომელ მილანურ კლუბში გადავა ბუფონი — „მილანში“ თუ „ინტერში“?

როგორც ცნობილია, ამ ორივე კლუბს უკვე დიდი ხანია, ბუფონი სურთ და თავად მეკარეც არ არის „იუვენტუსიდან“ წამოსვლის წინააღმდეგი.

„მე მინდა, რომ ის ჩემთან ახლოს იყოს. ეს არის და ეს — უთხრა ჟურნალისტებს ალიონა სერედოვამ — ამიტომ, ცუდი არ იქნება, მილანში თუ გადავალთ“.

წყვილმა მილანიდან 40 კილომეტრში უკვე იქირავა ვილა, რომელშიც ადრე ცნობილი იტალიელი პოპვარსკვლავი ეროს რამაზოტი ცხოვრობდა...

**ქახა ზალამბერიძე**



# ავედით და წავედი

## დეშანმა მადლობა იქით გადაიხადა

**დიდიე დეშანმა** „იუვენტუსიდან“ მოულოდნელი წასვლის შემდეგ დუმილი დაარღვია და განმარტა, თუ რატომ გადაწყვიტა გუნდის დატოვება.

„ძალიან რთული სეზონი მქონდა, მიუხედავად იმ ბრწყინვალე შედეგისა, რომელსაც ჩემს სამწვრთნელო შტაბთან და ფეხბურთელებთან ერთად მივაღწიე. ყველაფერი კარგად გავაანალიზე და ოთხშაბათ საღამოს წასვლა უკვე გადაწყვეტილი მქონდა. პრობლემა იმაში არ იყო, რომ სხვადასხვა საკითხებში სრული თავისუფლება მინდოდა, უბრალოდ, ძალიან ბევრი ფაქტორი დაგროვდა. მსურდა, დეტალურად გამეგო, რა გეგმები გვექნებოდა მომავალი სეზონისთვის, რომელიც მჯერა, „იუვესთვის“ ძალიან რთული იქნება. გასაკეთებელი უამრავი რამ არის, ფანები კი ბევრს ითხოვენ. მწვრთნელს სამუშაოდ მშვიდი და დაუძაბავი გარემო სჭირდება, რათა ყველაფერი კარგად გათვალოს. ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილება მივიღე. კმაყოფილი, ამაყი და ბედნიერი ვარ იმით, რომ „იუვენტუსი“ სერია A-ში დავაბრუნე. ვგრძნობ, რომ კლუბს ყველაფრისთვის გადავუხადე მადლობა, რაც მაშინ მომცა, როცა აქ ვთამაშობდი“ — განაცხადა დეშანმა.

ახალგაზრდა ფრანგი სპეციალისტის მომავალი კლუბი ალბათ „ლიონი“ იქნება...

„ჯერ მომავალ კლუბზე საუბარი არ მინდა, კონკრეტული არაფერია. მინდა, მომავალ სეზონში მაღალი კლასის გუნდს ჩავუდგე სათავეში. ისეთ კლუბებთან მოლაპარაკების დაწყება არ მსურს, რომლებსაც უკვე ჰყავთ მწვრთნელი“ — დასძინა დეშანმა.

„იუვენტუსში“ კი მარჩელო ლიპის ელიან, მიუხედავად იმისა, რომ, კულუარული ინფორმაციით, სიგარის მოყვარულ ჭაღარა ტაქტიკოსს უთქვამს, არდადეგების შეწყვეტას და ფეხბურთში დაბრუნებას არ ვაპირებო.

შეგახსენებთ, რომ კანდიდატები ისედაც მრავლად არიან — ვალტერ ნოველინო, დელიო როსი, ჯანლუკა ვიალი, კლაუდიო ჯენტილე, ანტონიო კონტე, ფრანჩესკო გვიდოლინი, ფაბიო კაპელო...

**გიორგი ქაქაბაძე**

# ბუფონია თუ რონალდინიო?!

## იუვენტუსი ამბობს: 55 მილიონი ევრო!

**ჯანლუიჯი ბუფონის** „იუვენტუსიდან“ წასვლა-არწასვლა საბოლოოდ ივნისში გადაწყდება. „ბებერი ქალბატონის“ მეკარე, მისი აგენტი სილვანო მარტინა და სპორტული დირექტორი ალესიო სეკო ერთმანეთს შეხვდნენ და შეთანხმდნენ, რომ გადამწყვეტი მოლაპარაკება ივნისში შედგება. მას მერე, რაც ჯიჯი „სკუადრა აძურას“ 2 და 6 ივნისს, ფარერებთან და ლიტვასთან ევროსარჩევ მატჩებში დაეხმარება...

„ეს არ ყოფილა განსაკუთრებული შეხვედრა, ყველაფერი ივნისში გაირკვევა. დავსხდებით და გადაწყვეტილებას მივიღებთ“ — აღნიშნა მარტინამ.

ალესიო სეკო: „ეს ინფორმაციული სახის შეხვედრა იყო. მთავარი საკითხი ფინანსური მხარე არ არის, მერწმუნეთ, ამ მხრივ პრობლემები არ გვექნება. გარანტიას ვიძლევი, ზაფხულში „იუვენტუსს“ ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბიუჯეტი ექნება. ახლა სხვას ვერაფერს გეტყვით“.

გავრცელებული ცნობით, „იუვენტუსს“ ეჭვი არ ეპარება, რომ ბუფონის დარწმუნებას შეძლებს და მას შეინარჩუნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ტურინელები ჯიჯის 54-55 მილიონ ევროზე ნაკლებად არ გაყიდიან.

„არის ორი კლუბი, ერთი იტალიური და მეორე უცხოური, რომლებსაც ჯანლუიჯის შეძენა ძალიან სურთ. ეს უკვე „იუვენტუსის“ ხელმძღვანელობას ვაცნობეთ. რაც შეეხება 54-55 მილიონ ევროს, ეჭვი მეპარება, ამხელა თანხა ერთ ფეხბურთელში, მაგალითად, რონალდინიოშიც კი ვინმემ გადაიხადოს. მოკლედ, ვნახოთ, როგორი ვითარება იქნება სატრანსფერო ბაზარზე“ — დასძინა მარტინამ.

ის ერთი იტალიური კლუბი „მილანი“ ან „ინტერია“. ხოლო რომელი უცხოური გუნდი იგულისხმა ბუფონის აგენტმა, ძნელი სათქმელია.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ნუ იჩხუბებთ: იბრაჰიმოვიჩი წარმოუდგენელია

## ანჩელოტიმ თქვა და... გაბრაზდა



**შვედი** ზლატან იბრაჰიმოვიჩი „ინტერისა“ და „მილანის“ დაპირისპირების ახალ ობიექტად იქცა. არადა, ყველაფერი „იუვენტუსით“ დაიწყო...

რამდენიმე დღის წინ შვედმა ფორვარდმა თქვა, „იუვენტუსი“ „ინტერზე“ უფრო ძლიერი იყო, ტურინელები უფრო ორგანიზებულნი არიან და მოჯიც ბრწყინვალეა თავის საქმეში, ასეთი კაცის გუნდში ყოლა ყველას დახატავდაო.

ინტერელებს ეს რომ არ ესიამოვნებოდათ, ძნელი მისახვედრი არ არის, მაგრამ დიდად არ შეიმჩნიეს, პრესაში გავრცელებული ცნობით კი, „იბრაკადაბრას“ გაშვებაზე დაიწყეს ფიქრი.

ამას დაემთხვა „მილანის“ მწვრთნელ კარლო ანჩელოტის განცხადება — ახლა ბევრ ვარსკვლავს სურს ჩვენთან გადმოსვლა, ერთი კი ისეთია, ეჭვსაც ვერ მიიტანთ, რომ დავასახელო დიდი აურზაური ატყდებაო.

აპენინური ჟურნალ-გაზეთების ვარაუდით, ეს სწორედ ზლატან იბრაჰიმოვიჩია.

„ინტერის“ პრეზიდენტი მასიმო მორატი: „ნამდვილად არა მგონია, რომ იბრა „მილანში“ წასვლაზე ფიქრობდეს ან ეს შეიძლება მოხდეს. არ მომეწონა ანჩელოტის განცხადებები, თუმცა არ ვიცი, რა არის მართალი და რა გაბუქებული. ადრე „მილანს“ ფეხბურთელებს ვუცვლიდით ხოლმე, მაგრამ ახლა ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ“.

„ეს განცხადება იმიტომ არ გამიკეთებია, რომ ვინმეს დასაცინი ან გასაკრიტიკებელი გავმხდარიყავი. მორატის და იმ ფეხბურთელს, რომელზეც მე ვლაპარაკობ, საერთო არაფერი აქვთ. ეს პრესის ვერსიებია, ხოლო მე არავინ დამისახელებია, არ მითქვამს, რომ ეს ფეხბურთელი იბრაჰიმოვიჩია“ — აღნიშნა ანჩელოტიმ.

და ბოლოს „ინტერის“ ფრანგი ნახევარმცველი პატრიკ ვიეირა, რომელიც შარშან ზაფხულს იბრაჰიმოვიჩთან ერთად გადავიდა „იუვენტუსიდან“ „ნერაძურიში“: „ზლატანმა მითხრა, რომ მისი სიტყვები არასწორად გაიგეს. „ინტერი“ ბრწყინვალე კლუბია, რომელშიც დიდი ფეხბურთელები თამაშობენ და ყველანი ბედნიერები ვართ. გუნდში არანაირი პრობლემა არ არის. ახლა ჩინებულ ხასიათზე ვართ, შთამბეჭდავი სეზონი გვქონდა და დამსახურებულად მოვიგეთ სკუდეტო. უკვე მომავალი გამარჯვებისთვის ვემზადებით“.

**გიორგი ქაქაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | შვეიცარია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 30 მაისი | | | | | | |
| 22:15 | 233 | ბელინცონა-არაუ | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| | | სლოვაკეთი | | | | | | |
| | | 30 მაისი | | | | | | |
| 19:00 | 58 | კოშიცე-ნიტრა | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 19:00 | 59 | პეტრჟალკა-ბ.ბისტრიცა | 1.45 | 3.60 | 6.00 | 1.03 | 1.16 | 2.25 |
| 19:00 | 60 | სლოვანი-სინეცი | 1.22 | 5.20 | 8.30 | 1.00 | 1.06 | 3.19 |
| 19:00 | 61 | ჟილინა-რუჟომბეროკი | 1.46 | 3.60 | 6.00 | 1.03 | 1.17 | 2.25 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 29 მაისი | | | | | | |
| 21:00 | 105 | სუნდსვალი-ლანდსკრონა | 1.85 | 3.50 | 3.70 | 1.21 | 1.23 | 1.79 |
| | | 31 მაისი | | | | | | |
| 21:00 | 106 | ფალკენბერგი-სირიუსი | 2.10 | 3.30 | 2.90 | 1.28 | 1.21 | 1.54 |
| 21:00 | 107 | ჰეკენი-იონკოპინგი | 1.65 | 3.50 | 4.30 | 1.12 | 1.19 | 1.92 |
| | | ისლანდია | | | | | | |
| | | 29 მაისი | | | | | | |
| 23:45 | 228 | ფრამი-ხაფნარფიორდური | 4.70 | 3.80 | 1.55 | 2.10 | 1.16 | 1.10 |
| | | ირლანდია | | | | | | |
| | | 29 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 116 | ბრეი-დუბლინი | 2.55 | 3.10 | 2.60 | 1.39 | 1.28 | 1.41 |
| 22:45 | 117 | ლონგფორდი-გალვეი | 2.30 | 3.10 | 3.10 | 1.32 | 1.32 | 1.54 |
| 23:00 | 118 | შემროკი-კორკი | 2.35 | 3.10 | 2.90 | 1.33 | 1.29 | 1.49 |
| 22:45 | 119 | სლიგო-დროგედა | 3.80 | 3.20 | 1.95 | 1.73 | 1.28 | 1.21 |
| 22:45 | 120 | დერი-უოტერფორდი | 1.50 | 3.80 | 6.20 | 1.07 | 1.20 | 2.35 |
| | | ეჩ. შესარჩევი მატჩები | | | | | | |
| | | 2 ივნისი | | | | | | |
| 22:30 | 175 | საბერძნეთი-უნგრეთი | 1.45 | 3.80 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.46 |
| 16:00 | 176 | ყაზახეთი-სახომხეთი | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 18:00 | 177 | უელსი-ჩეხეთი | 4.50 | 3.30 | 1.75 | 1.90 | 1.25 | 1.14 |
| 19:00 | 178 | რუსეთი-ანდორა | 1.01 | 12.00 | 30.00 | 1.00 | 1.00 | 8.57 |
| 20:00 | 179 | აზერბაიჯანი-პოლონეთი | 12.00 | 5.10 | 1.22 | 3.57 | 1.10 | 1.00 |
| 20:00 | 180 | ისლანდია-ლიხტენშტაინი | 1.25 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.43 |
| 20:15 | 181 | ფინეთი-სერბეთი | 2.85 | 3.10 | 2.45 | 1.48 | 1.31 | 1.36 |
| 21:00 | 182 | გერმანია-სან მარინო | 1.01 | 11.00 | 40.00 | 1.00 | 1.00 | 8.62 |
| 21:30 | 183 | მაკედონია-ისრაელი | 3.10 | 3.10 | 2.20 | 1.54 | 1.28 | 1.28 |
| 22:00 | 184 | ბელარუსი-ბულგარეთი | 2.95 | 3.10 | 2.35 | 1.51 | 1.30 | 1.33 |
| 22:00 | 185 | ბოსნია-თურქეთი | 3.90 | 3.20 | 1.90 | 1.75 | 1.27 | 1.19 |
| 22:00 | 186 | დანია-შვედეთი | 2.25 | 3.10 | 3.10 | 1.30 | 1.30 | 1.54 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 187 | ნორვეგია-მალტა | 1.12 | 6.30 | 20.00 | 1.00 | 1.06 | 4.79 |
| 22:30 | 188 | ალბანეთი-ლუქსემბურგი | 1.04 | 7.00 | 21.00 | 1.00 | 1.00 | 5.25 |
| 22:30 | 189 | ესტონეთი-ხორვატია | 8.00 | 4.00 | 1.40 | 2.66 | 1.19 | 1.03 |
| 22:30 | 190 | ლატვია-ესპანეთი | 9.00 | 4.50 | 1.32 | 3.00 | 1.15 | 1.02 |
| 22:45 | 191 | ბელგია-პორტუგალია | 4.20 | 3.20 | 1.85 | 1.81 | 1.28 | 1.17 |
| 22:45 | 192 | ფარერები-იტალია | 30.00 | 12.00 | 1.02 | 8.57 | 1.00 | 1.00 |
| 22:45 | 193 | სლოვენია-რუმინეთი | 3.80 | 3.10 | 1.95 | 1.70 | 1.28 | 1.19 |
| 23:00 | 194 | საფრანგეთი-უკრაინა | 1.50 | 3.50 | 7.20 | 1.04 | 1.24 | 2.35 |
| | | ამხანაგური მატჩები | | | | | | |
| | | 1 ივნისი | | | | | | |
| 23:00 | 155 | ინგლისი-ბრაზილია | 2.45 | 2.90 | 2.85 | 1.32 | 1.31 | 1.43 |
| | | ეჩ. შესარჩევი მატჩები(21) | | | | | | |
| | | 1 ივნისი | | | | | | |
| 14:00 | 166 | იტალია(21)-ალბანეთი(21) | 1.10 | 7.00 | 13.00 | 1.00 | 1.01 | 4.55 |
| 14:00 | 167 | მოლდოვა (21)-ჩრდ. ირლ. (21) | 2.30 | 3.10 | 2.75 | 1.32 | 1.25 | 1.45 |
| 14:00 | 168 | უკრაინა(21)-თურქეთი(21) | 2.05 | 3.10 | 3.30 | 1.23 | 1.26 | 1.59 |
| 22:45 | 169 | საფრანგეთი(21)-რუმინეთი(21) | 1.45 | 3.80 | 5.70 | 1.04 | 1.15 | 2.27 |
| | | 2 ივნისი | | | | | | |
| 14:00 | 170 | ბელარუსი(21)-უნგრეთი(21) | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 14:00 | 171 | ხორვატია(21)-ფარერები(21) | 1.05 | 8.30 | 13.00 | 1.00 | 1.00 | 5.06 |
| 14:00 | 172 | საბერძნეთი(21)-აზერბაიჯანი (21) | 1.13 | 6.20 | 11.00 | 1.00 | 1.02 | 3.96 |
| 14:00 | 173 | სერბეთი(21)-ლატვია(21) | 1.37 | 4.00 | 6.50 | 1.02 | 1.13 | 2.47 |
| | | 3 ივნისი | | | | | | |
| 14:00 | 174 | ესტონეთი(21)-ნირვეგია(21) | 4.00 | 3.40 | 1.70 | 1.83 | 1.19 | 1.13 |
| | | ეჩ. შესარჩევი მატჩები(19) | | | | | | |
| | | შოტლანდია | | | | | | |
| | | 30 მაისი | | | | | | |
| 21:00 | 210 | ნორვეგია 19-აზერბაიჯანი 19 | 1.30 | 5.00 | 7.00 | 1.03 | 1.09 | 2.91 |
| 21:00 | 211 | ესპანეთი 19-ისლანდია 19 | 1.25 | 5.00 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.21 |
| 21:30 | 213 | სერბია 19-დანია 19 | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| | | 1 ივნისი | | | | | | |
| 18:00 | 214 | იტალია 19-შვედეთი 19 | 1.80 | 3.40 | 3.80 | 1.17 | 1.22 | 1.79 |
| | | პოლონეთი. თასი | | | | | | |
| | | 29 მაისი | | | | | | |
| 22:00 | 206 | ვისლა-ლეხი | 1.70 | 3.40 | 4.20 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| 19:30 | 229 | ლეჩნა-ლეგია | 4.80 | 3.40 | 1.60 | 1.99 | 1.20 | 1.08 |
| | | 30 მაისი | | | | | | |
| 22:00 | 207 | კორონა-ბელხატოვი | 2.35 | 3.20 | 2.60 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| | | 31 მაისი | | | | | | |
| 22:30 | 230 | გროცლინი-ზაგლებე | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ჩოგბურთი ქალები Roland Garros | | |
| | | 29 მაისი | | |
| 13:00 | 335 | აზარენკო-კნაპი | 1.20 | 4.00 |
| 13:00 | 336 | ა ბონდარენკო-ბენეშოვა | 1.15 | 4.90 |
| 13:00 | 337 | კ ბონდარენკო-ონდრაშკოვა | 1.25 | 3.50 |
| 13:00 | 338 | ვაკულენკო-ოლარუ | 1.30 | 3.00 |
| 13:00 | 339 | განტუხოვა-კოსტანიჩი | 1.05 | 6.50 |
| 13:00 | 340 | დანილიდუ-პუჩკოვა | 1.50 | 2.30 |
| 13:00 | 341 | დეში-ვოზნიაცკი | 1.45 | 2.40 |
| 13:00 | 342 | დომინგეს ლინო-კრეიბასი | 1.35 | 2.50 |
| 13:00 | 343 | ივანოვიჩი-არვიდსონი | 1.05 | 8.00 |
| 13:00 | 344 | კუზნეცოვა-ბიჩკოვა | 1.02 | 8.00 |
| 13:00 | 345 | ლიხოვცევა-ჩან იუ ჯი | 2.00 | 1.70 |
| 13:00 | 346 | მედინა-გარიგესი-ლეპჩენკო | 1.05 | 7.00 |
| 13:00 | 347 | მირზა-ბრიანტი | 1.60 | 2.00 |
| 13:00 | 348 | მორესმო-გრენვილი | 1.02 | 8.00 |
| 13:00 | 349 | მიულერი-დე ლოს რიოსი | 1.35 | 2.40 |
| 13:00 | 350 | პუჩეკი-ფედოსოვა | 1.80 | 1.80 |
| 13:00 | 351 | სავაი-კრემერი | 1.40 | 2.50 |
| 13:00 | 352 | სუგიამა-ბირნეროვა | 1.15 | 4.30 |
| 13:00 | 353 | ტუ-ოპრანდი | 1.65 | 2.00 |
| 13:00 | 354 | ციბულკოვა-ტ სუნი | 1.35 | 2.70 |
| 13:00 | 355 | ჩაკვეტაძე-მოლიკი | 1.10 | 5.00 |
| 13:00 | 356 | შარაპოვა-ლუა | 1.12 | 4.90 |
| 13:00 | 357 | შნიდერი-სუხა | 1.02 | 9.00 |
| 13:00 | 358 | შონესი-მისკინა | 1.45 | 2.40 |
| | | ჩოგბურთი კაცები Roland Garros | | |
| | | 29 მაისი | | |
| 13:00 | 359 | ანდრეევი-როდიკი | 1.50 | 2.20 |
| 13:00 | 360 | ბ ბეკერი-მონკური | 2.10 | 1.60 |
| 13:00 | 361 | ბერდიხი-გარსია ლოპესი | 1.15 | 4.00 |
| 13:00 | 362 | ჯ ბლეიკი-კარლოვიჩი | 1.35 | 2.60 |
| 13:00 | 363 | ბრჟეჟიცკი-კენდრიკი | 1.30 | 3.00 |
| 13:00 | 364 | ვერდასკო-ხენნელი | 1.25 | 3.30 |
| 13:00 | 365 | გაბაშვილი-კიპოლა | 1.55 | 2.10 |
| 13:00 | 366 | გიკველი-გაუდიო | 1.70 | 1.90 |
| 13:00 | 367 | გროსჟანი-ბაგდატისი | 1.90 | 1.70 |
| 13:00 | 368 | კალერი-ზაბალეტა | 1.30 | 2.90 |
| 13:00 | 369 | კოლშრაიბერი-დლოუგი | 1.18 | 3.80 |
| 13:00 | 370 | კიურეი-რეკუდერკი | 1.55 | 2.10 |
| 13:00 | 371 | ლუჩაკი-ბიორკმანი | 1.35 | 2.60 |
| 13:00 | 372 | მასუ-ხორნა | 1.60 | 2.00 |
| 13:00 | 373 | მატი-ფ მაიერი | 1.20 | 3.80 |
| 13:00 | 374 | მოია-სეპი | 1.15 | 4.50 |
| 13:00 | 375 | ნადალი-დელ პოტრო | 1.01 | 12.00 |
| 13:00 | 376 | ი ნიემინენი-ფ ლოპესი | 1.25 | 3.20 |
| 13:00 | 377 | პატიენსი-ეისერიკი | 1.22 | 3.50 |
| 13:00 | 378 | პლესი-ლუ | 1.18 | 3.50 |
| 13:00 | 379 | სერა-კუნიცინი | 1.20 | 3.50 |
| 13:00 | 380 | სიმონი-სპეიდი | 1.25 | 3.10 |
| 13:00 | 381 | სოდერლინგი-მონტანესი | 1.30 | 2.90 |
| 13:00 | 382 | ტურსუნოვი-დი მაურო | 1.55 | 2.10 |
| 13:00 | 383 | დ ფერერი-ბრაჩიალი | 1.04 | 6.50 |
| 13:00 | 384 | ხაიეკი-ტ იოჰანსონი | 1.70 | 1.90 |
| 13:00 | 385 | ხარტფილდი-ჯინეფრი | 1.30 | 2.90 |
| 13:00 | 386 | ხენმენი-გულბისი | 1.40 | 2.40 |
| 13:00 | 387 | ხრბატი-ულირახი | 1.50 | 2.30 |
| 13:00 | 388 | ხიუიტი-მირნი | 1.03 | 6.00 |
| 13:00 | 389 | ო ერნანდესი-გუზმანი | 1.30 | 2.80 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

## ქართული ლეგიონი

# სიხარულის მსხვერპლი

### ცინცაძე თანაგუნდელებმა ფინალიდან ამოაგდეს



**უცნაური** რამ შეემთხვა გიორგი ცინცაძეს, რამაც მას ესტონური ფინალის ბოლო ორი მატჩი გამოატოვებინა. 19 მაისს ტარტუს „როკი" ტალინში „კალევს" ეთამაშებოდა. სერიის ანგარიში 1:1 იყო და ბოლო წამებზე „როკერებმა" ქულით იმარჯვეს. გადამწყვეტი ბურთი ტარტუელებმა სირენის თანხლებით ჩააგდეს, რაც გიორგი ცინცაძის უბადლო პასს მოჰყვა. ჩამგდებს ხომ მიულოცეს და „როკის" მოთამაშეებს არც მეპასე დაავიწყდათ — გამარჯვების ეიფორიით შეპყრობილები ქართველ გამთამაშებელს მისცვივდნენ და ამ ხვევნა-კოცნაში ტრავმა მიაყენეს.

ცინცაძეს ფეხი ეტკინა და მას შემდეგ აღარ უთამაშია. „როკერებმა" გასულ კვირაში ქართველის გარეშე ფინალური სერიის 2 მატჩი ჩაატარეს და ორჯერ იმარჯვეს, 3:1 დაწინაურდნენ, თუმც გუშინწინ შინ წააგეს სერიის მეხუთე შეხვედრა.

„როკს" ჩემპიონობის ჩინებული შანსი ჰქონდა, მაგრამ არც ახლაა ცუდ ვითარებაში. სერიას 3:2 იგებს და ჩემპიონობამდე 1 გამარჯვება აკლია. მომდევნო მატჩი ტალინში დღეს გაიმართება და თუ „როკერები" ისევ დამარცხდებიან, მეხუთე, გადამწყვეტი შეხვედრა მათ მოედანზე, ტარტუში შედგება.

წინა ორისგან განსხვავებით, ბოლო მატჩში ცინცაძე განაცხადში იყო, მაგრამ მოედანზე არ გამოჩენილა. ეს კი იმის იმედს იძლევა, რომ მისი მდგომარეობა უმჯობესდება და ეგებ ქართველმა ფინალური სერიის ბოლო მატჩებში მაინც ითამაშოს.

ჩემპიონობისკენ მიიბრძვის ვლადიმერ ბოისას „სიენაც", რომელმაც სერია A-ს პირველი საპლეიოფო რაუნდი ერთი ამოსუნთქვით განვლო. სიენელებმა „კანტუს" 3:0 მოუგეს მეოთხედფინალური სერია და ნახევარფინალში ტაირონ ელისის „ნაპოლის" მძლეველ „რომას" შეერკინებიან.

გასულ კვირაში „სიენამ" სერიის მესამე მატჩი მოუგო „კანტუს", რომელშიც ვლადიმერ ბოისამ 17 წუთში 3 ქულა და 5 მოხსნა მოინაგრა. ვოვამ სერიის სამივე მატჩში მიიღო მონაწილეობა და სიენელთა გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანა.

მისგან განსხვავებით, სერია A-ს ემშვიდობება ტაირონ ელისი, ვისაც დეიან ბოდიროგასთან ორთაბრძოლაში ფრთები შეეკვეცა და „ნაპოლიმაც" ვერაფერი გააწყო რომაელებთან. ელისმა უფერულად ითამაშა სეზონის ბოლო მატჩი — 29 წუთში 4 ქულას და 2-2 მოხსნა-პასს მოუყარა თავი.

**ირაკლი პერტაია**

# ტულუშის სეზონი

გასრულდა სეზონი და საუკეთესოთა გამორჩევის დროც დადგა. კალათბურთის ფედერაციამ გამოკითხვა ჩაატარა, რომელშიც ჟურნალისტები და ყველა გუნდის მწვრთნელები მონაწილეობდნენ. შედეგად გამოვლინდნენ სუპერლიგის საუკეთესო მოთამაშეები, მწვრთნელები და მსაჯები, რომლებსაც ნომინაციების მიხედვით გთავაზობთ



| საუკეთესო მოთამაშე | | |
|---|---|---|
| 1 | კოტე ტულუში | 42 |
| 2 | გიორგი გამყრელიძე | 35 |
| 3 | ზვიად ბაბიაშვილი | 31 |
| 4 | ირაკლი ხოშტარია | 13 |
| 5 | ბესიკ ლეჟავა | 12 |
| 6 | ირაკლი ბერიშვილი | 7 |
| 8 | გიორგი მარკოიშვილი | 6 |
| 9 | გიორგი შერმადინი | 4 |
| 10 | შიო ხეცურიანი | 2 |
| 11 | ვლადიმერ ბეჟანიშვილი | 2 |
| 12 | ნოდარ ბერაია | 1 |
| **უკანახაზელი** | | |
| 1 | გიორგი გამყრელიძე | 23 |
| 2 | კოტე ტულუში | 21 |
| 3 | ბესიკ ლეჟავა | 9 |
| **ფორვარდი** | | |
| 1 | ზვიად ბაბიაშვილი | 28 |
| 2 | გიორგი მარკოიშვილი | 16 |
| 3 | ვლადიმერ ბეჟანიშვილი | 13 |
| **ცენტრი** | | |
| 1 | დავით უგრეხელიძე | 27 |
| 2 | გიორგი შერმადინი | 21 |
| 3 | რიჩარდ მათიაშვილი | 16 |
| **ახალგაზრდა მოთამაშე** | | |
| 1 | რევაზ დიდია | 15 |
| 2 | მიხეილ ბერიშვილი | 15 |
| 3 | რიჩარდ მათიაშვილი | 14 |
| **მწვრთნელი** | | |
| 1 | დავით უსტიაშვილი | 32 |
| 2 | ლევან მოსეშვილი | 14 |
| 3 | ნუგზარ ჭეიშვილი | 12 |
| **მსაჯი** | | |
| 1 | მაკა კუპატაძე | 24 |
| 2 | ზაზა მაჩალაძე | 20 |
| 3 | დავით ბერეკაშვილი | 14 |




27 მაისი

## აღმოსავლეთის ფინალი

### დეტროიტი 2:1 კლივლენდი

**კლივლენდი 88:82 დეტროიტი**

**კლივლენდი:** პავლოვიჩი (13), ჰიუზი (6), ჯეიმსი )32 ქულა, 9 მოხსნა, 9 პასი), გუდენი (12), ილგაუსკასი (16); გიბსონი (9), ვარეჟაო, მარშალი, ჯონსი,
**დეტროიტი:** ბილაფსი (13), ჰამილტონი (7), პრინსი (13), ვოლესი (16), ვებერი (15); მაკდაიერი (8), მიურეი (8), დელფინო (2), მაქსიელი

# ლებრონ ჯეიმსმა კავალერია ორმოს მოარიდა



**ამ თამაშის** წინ პრესამ დიდი აჟიოტაჟი ატეხა: შეხვედრას ლებრონ ჯეიმსის კარიერაში „უმნიშვნელოვანესის" სტატუსიც კი მიუსადაგეს, რაკილა მისი „კლივლენდი" „დეტროიტთან" სერიას 0:2 აგებდა და კიდევ ერთხელ რომ დამარცხებულიყო, საბოლოო გამარჯვების იმედსაც უნდა გამომშვიდობებოდა — 0:3 ხომ ის ორმოა, რომელიც ნბა-ს ვერც ერთ გუნდს ვერასდროს ვერ არ ამოუვსია. ლებრონი კი ის ბიჭი არაა, რომელსაც სამყაროს ორმოდან ყურება ეპიტნავება. ის ცაზე უნდა კაშკაშებდეს.

მაგრამ სანამ ლებრონის ვარსკვლავი სრულად აკიაფდება, ის ორმოების პირას თამაშსაც ეჩვევა და იქაურობიდან თავის დაღწევასაც. შინაური მატჩის წინ აღგზნებული ჯეიმსი პრესაზე შორსაც წავიდა და თქვა, ეს თამაში არა მხოლოდ ჩემს კარიერაში, არამედ „კლივლენდის" ისტორიაშიც უმნიშვნელოვანესია და ჩვენ ახლა მოედანზე გავალთ და მოვიგებთო.

თქმა და ქნა ერთი იყო. სიტყვებს ჰაერზე რომ არ ფლანგავს, ჯეიმსმა იმ საღამოს სრულად დაამტკიცა. დეტროიტში გამართულ წინა ორ შეხვედრაში ის 20 ქულას ერთხელაც ვერ ასცდა, „კლივლენდმა" კი ის ორივე თამაში ერთი და იმავე ანგარიშით — 76:79 წააგო. ლებრონი ორივეჯერ გაიკიცხა — პირველად მან ბოლო წამებზე სროლას პასის გაკეთება არჩია და ბურთი დონ მარშალს დაუთმო (ამან ააცილა), მეორედ კი არასასროლ სიტუაციაში თავად ესროლა და...

მოკლედ, ახლა მას ყველაფერი უნდა გაეკეთებინა და სერია „კლივლენდის" პირველი გამარჯვებით შეელამაზებინა, რაც დამაჯერებლად შეასრულა კიდეც. რაც მთავარია, „კავალერიის" წინამძღოლმა მაშინ აიღო თავზე ინიციატივა, როცა ეს ყველაზე მეტად სჭირდებოდა მის გუნდს.

თანაბარი ჯახის მეოთხე მეოთხედის ახალდაწყებულზე, 68:68 ანგარიშზე ლებრონი რაკეტასავით გაფრინდა და რაშიდ ვოლესს თავზე გადაატენა ბურთი, შემდეგ შეტევაში კი ილგაუსკასს ორიანი ჩააგდებინა და „კლივლენდი" 72:68 დაწინაურდა. ოდნავ მოგვიანებით მან კვლავ გასცა ზუსტი პასი და გიბსონს სამიანი მოანადირებინა — 77:72, თამაშის დამთავრებამდე ორნახევარი წუთით ადრე კი უკვე თავად დასჭექა შორიდან — 84:76 და 21 ათასამდე კლივლენდელი ქომაგის ღრიალმა ლამის ჩამოანგრია ჭერი. ხალხი ლებრონისა და მისი გუნდისგან ფინალში გასვლას ითხოვდა, მაგრამ ეს მთლად ასე იოლად მოსათხოვი რომ არაა, ეს „კლივლენდის" მეტოქეებმა მალევე უჩვენეს აღგზნებულ პუბლიკას — დეტროიტელებმა ზედიზედ ექვსი ქულა გააკეთეს და თამაშის დამთავრებამდე ნახევარი წუთით ადრე ორ ქულამდე მიაახლოვეს „პისტონზი" „კავალიერზს". კლივლენდელი ქომაგები შოკისგან ისევ ლებრონმა იხსნა, რომელმაც სირენამდე 17 წამით ადრე ორიანი ჩააგდო, ანგარიშს კი წერტილი დრიუ გუდენმა წყვილი საჯარიმოთი დაუსვა.

**კოტე ყორშია**

## საქართველოს ჩემპიონატი პირველი წრე

# ყოჩების ჩანაფიქრი: შლაგბაუმი ლოკოს



„ყოჩების“ წარმატებულ თამაშს დიდი ისტორია აქვს, საჩემპიონო ამბიციები ადრევე აწუხებდათ, მაგრამ „ხულიგანასთან“ გაერთიანებამ მიზანი უფრო რეალური გახადა. სამი თამაშიდან სამი მოგება სატურნირო ცხრილში „ყოჩთა“ ერთპიროვნულ ლიდერობას განაპირობებს, სანამ „ლოკომოტივსა“ და „ლელოს“ შორის გაურკვეველი ვადით გადადებული შეხვედრა არ გაიმართება.

„ლოკომოტივი“ სულ სხვა თემაა. გუნდი საქართველოს ექვსგზის ჩემპიონია და წლევანდელი გათამაშების აშკარა ფავორიტიც. „ლოკომოტივის“ ყველა სათამაშო რგოლი თანაბრადაა დაბალანსებული და თუ მათ გამოცდილებასაც გავითვალისწინებთ, ძნელად სავარაუდოა, რომ „ყოჩებმა“ მათ სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიონ.

**ზურაბ მიგრიაული**

**ამ უქმეებზე** ლოკომოტივის სათადარიგო მოედანზე რაგბიში საქართველოს ჩემპიონატის მესამე ტური გათამაშდა. შინაური რაგბის გულშემატკივრებისთვის უცხო და მოულოდნელი არაფერი მომხდარა, გალიდერდნენ ის გუნდები, რომლებიც თავიდანვე ფავორიტებად ითვლებოდნენ. რაც შეეხება აუტსაიდერებს, განვლილ სამ ტურში ერთი სენსაცია აღინიშნა — შარშანდელი ფინალისტი „დინამო“ წლეულს ვეღარ რაგბობს მაღალ დონეზე. რისი მიზეზიც ის გახლავთ, რომ ამ გუნდის ხერხემალს რუსთაველი მორაგბეები წარმოადგენდნენ და წლეულს ისინი პირველ ლიგაში მოთამაშე მშობლიური ქალაქის გუნდში დაბრუნდნენ. „დინამომაც“ დროზე შეკვრა და შეთამაშება ვერ მოასწრო, რაც ჯამში სამი თამაშიდან სამ წაგებაში აისახა.

თითო-თითო მოგება აქვთ „ლელოს“, თსუ-ს და „არმაზს“. ამათგან „ლელო“ ყველაზე გამოცდილია. არმაზელები კი სამივე თამაშში გამოირჩეოდნენ კომბინაციურობით, ბურთსაც ხელდახელ აკონტროლებდნენ და ასე ცდილობდნენ ფონს გასვლას. რამდენად გამოუვიდათ ეს, უკვე სხვა საქმეა. თსუ მეტ-ნაკლებად ახალგაზრდებით დაკომპლექტებული გუნდია. მათ თამაშს ქარიზმა და დიდი რაგბის ეშხი ნამდვილად არ აკლია, მაგრამ გამოუცდელობით დაშვებული შეცდომების გამოსწორებას, ალბათ, დრო დასჭირდება. ისე კი ყველა გუნდშია რამდენიმე მოთამაშე, რომელთა რომელიმე ასაკობრივ ნაკრებში გამოცდა უპრიანი იქნებოდა.

**I ტური**

ლოკომოტივი 34:7 არმაზი
თსუ 9:3 დინამო
ლელო 26:27 ყოჩები

**II ტური**

ლელო 38:17 დინამო
თსუ 15:40 ლოკომოტივი
არმაზი 7:24 ყოჩები

**III ტური**

თსუ 17:30 არმაზი
დინამო 11:19 ყოჩები
ლელო — ლოკომოტივი
გადაიდო

**სატურნირო ვითარება**

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| ყოჩები | 3 | 0 | 0 | +25 | 6 |
| ლოკომოტივი | 2 | 0 | 0 | +52 | 4 |
| ლელო | 1 | 0 | 1 | +20 | 2 |
| არმაზი | 1 | 0 | 2 | -32 | 2 |
| თსუ | 1 | 0 | 2 | -32 | 2 |
| დინამო | 0 | 0 | 3 | -35 | 0 |



# გარდამავალი ეპოქის ქარიშხალა

**გადაწყდა.** ლეგენდარული ქართველი მოჭიდავეების ვახტანგ ბალავაძისა და გივი კარტოზიას სახელობის საერთაშორისო ტურნირებს წლეულს თბილისის „ქარიშხალას“ დარბაზი უმასპინძლებს. თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილის მიმდევრები ტრადიციულად, პარალელურად გავლენ ხალიჩებზე და ორივე ჭიდაობის ყველა ჩემპიონ-პრიზიორი ორ დღეში გამოვლინდება. თარიღიც ცნობილია — 14-15 ივლისი.

შეგახსენებთ, რომ წლევანდელი ტურნირის ჩატარება კარგა ხანს საეჭვო იყო. მთავარ მიზეზად სპორტის სასახლეში დაწყებული სარეკონსტრუქციო სამუშაოები და სანაკრებო პოლიტიკა სახელდებოდა. ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის თავკაცებმა გადაწყვიტეს, საორგანიზაციოდ საჭირო თანხები ნაკრებების უკეთ მომზადებისთვის მოეხმარებინათ, ტრადიციული ტურნირები კი მომავალი წლიდან გაცილებით ძლიერი და მასშტაბური გაეხადათ, ვიდრე ბოლო წლებში იყო. საერთაშორისო ფედერაციაში გასაგზავნად სპეციალური წერილიც დაიწერა, მაგრამ ბოლოს ქართული ჭიდაობის შეფებმა გადაწყვიტეს, ტურნირი სხვა დარბაზში ჩატარებულიყო. ბათუმისა და ვერის ბაღის ვარიანტების გამორიცხვის შემდეგ, არჩევანი ან დილმის საჭიდაო დარბაზზე უნდა შეჩერებულიყო, ანაც „ქარიშხალაზე“.

„მეორე ვარიანტი ავირჩიეთ, რადგან სადღეისოდ ყველაზე ოპტიმალურია — გვითხრა გუშინ ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ომზარ შოშიტაშვილმა — „ქარიშხალაში“ სამი ხალიჩა გაიშლება. მიზეზთა გამო, წლევანდელი ტურნირი საერთაშორისო კალენდარში არ შეუტანიათ, მაგრამ ამის მიუხედავად, ჩამოსვლის მსურველთა ნაკლებობას არ ვუჩივით. მეტსაც გეტყვით, შარშანდელზე მეტი წინასწარი წერილი მივიღეთ. მეზობელ ქვეყნებსა და ტურნირის ლამის ტრადიციულ სტუმრებზე რომ არაფერი ვთქვათ, იაპონიის ფედერაციიდანაც კი შეგვეხმიანნენ, ჩამოსვლა გვსურსო. ყველას დასტური ვაცნობეთ. ოფიციალური განაცხადი კი ჯერ არავისგან მოსულა. საგანგაშო ამაში არაფერია, რადგან განცხადებების მიღების ბოლო ვადა 5 ივლისია და, როგორც წესი, ყველაფერი ბოლო კვირაში ირკვევა ხოლმე.“

შარშანდელ ბალავაძე-კარტოზიაზე ჩემპიონ-პრიზიორები ფინანსურ მოგებასაც ნახულობდნენ. პრემიებს მწვრთნელებიც იღებდნენ. ამჯერად კი, ალბათ, მატერიალურ წახალისებას ფასიანი საჩუქრები შეცვლის. ფინანსური საკითხები, სავარაუდოდ, მომავალი ტურნირისთვის გაუმჯობესდება. ფედერაციის პრეზიდენტის თქმით, საპრიზო ფონდი მომავალი წლიდან აღდგება და, ალბათ, მიმზიდველიც იქნება.

კახა გეწაძე: „ადრე თბილისურ ტურნირს არაოფიციალურ მსოფლიოს ჩემპიონატს ეძახდნენ, რადგან მასზე უძლიერესი შემადგენლობა იყრიდა ხოლმე თავს. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ძველი პრესტიჟი, რაც შეიძლება, მალე დავიბრუნოთ.“

**ოთარ მაღლაკელიძე**



## ქალთა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი

19-30 მაისი. ეკატერინბურგი. რუსეთი

**VIII ტური**

| | | |
|---|---|---|
| **საქართველო** | **1:3** | **უკრაინა** |
| მაია ჩიბურდანიძე | 0,5:0,5 | კატერინა ლაჰნო |
| ლელა ჯავახიშვილი | 0,5:0,5 | ანა უშენინა |
| ნინო ხურციძე | 0:1 | ინა გაპონენკო |
| სოფიკო ხუხაშვილი | 0:1 | ტატიანა ვასილევიჩი |
| **ვიეტნამი** | **2:2** | **გერმანია** |
| **ჩინეთი** | **4:0** | **ბოტსვანა** |
| **რუსეთი** | **3,5:0,5** | **ჩეხეთი** |
| **პოლონეთი** | **3:1** | **სომხეთი** |

# უკრაინამ საქართველოს ბრინჯაო მოუგო

**ჩინეთის** ნაკრებმა უქულო ბოტსვანა 4:0 დაჩაგრა და ლიდერობა განიმტკიცა. ამ გამარჯვებით აზიელებმა ფაქტობრივად გაინაღდეს ჩემპიონობა, ბოლო ტურში ისინი გერმანელებს ხვდებიან და ოქროსთვის ქულაც ჰყოფნით. მეორეობას ალბად რუსებს ვეღარავინ შეეცილება. ჩვენი ჩრდილო მეზობლები ბოლო ტურში უსუსტეს ბოტსვანას ხვდებიან და საოცრება უნდა მოხდეს, რომ ვერ მოუგონ.

სამწუხაროდ, მესამე ადგილი დაკარგეს ქართველებმა. მერვე ტურში ჩვენებურებმა მთავარმეტოქე უკრაინელებთან 1:3 წააგეს და საპრიზო ადგილიც სლავებს დაუთმეს.

**ლაშა გეგეჭკორი**

**სატურნირო ვითარება**

1. ჩინეთი ---------- 15
2. რუსეთი ---------- 13
3. უკრაინა ---------- 12
4. საქართველო ---------- 10
5. ვიეტნამი ---------- 8
6. გერმანია ---------- 8
7. პოლონეთი ---------- 7
8. სომხეთი ---------- 4
9. ჩეხეთი ---------- 3
10. ბოტსვანა ---------- 0

მოგებაზე გუნდებს ეწერებათ ორი, ფრეზე კი ერთი ქულა

# ელისტაში სამექსიკო ელიტა გამოვლინდება



თხუთმეტი მამაკაცის გარემოცვაში ქალთა ღირსებას იუდით პოლგარი იცავს

**I ტური**

| | | |
|---|---|---|
| მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) | 0:1 | ლევონ არონიანი (სომხეთი) |
| პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 0,5:0,5 | მიხაილ გურევიჩი (თურქეთი) |
| რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) | 0,5:0,5 | სერგეი რუბლევსკი (რუსეთი) |
| ბორის გელფანდი (ისრაელი) | 0,5:0,5 | რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) |
| გატა კამსკი (აშშ) | 0,5:0,5 | ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი) |
| ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) | 1:0 | ვლადიმირ მალახოვი (რუსეთი) |
| იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) | 0,5:0,5 | ევგენი ბარეევი (რუსეთი) |
| მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 0,5:0,5 | ალექსეი შიროვი (ესპანეთი) |

**ელისტაში** მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი დაიწყო. გათამაშებაში 16 დიდოსტატი მონაწილეობს და მათ შორის ოთხი საუკეთესო სექტემბერში მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოვა.

პირველ ეტაპზე ორგანიზატორებმა მოჭადრაკეები დააწყვილეს და ერთმანეთში ექვსი პარტია უნდა ათამაშონ. გამარჯვებულები მეორე ეტაპზე გავლენ და ვინც იქაც იმარჯვებს, საგზურსაც მიიღებს.

გათამაშების ფავორიტი მსოფლიოს თასის მფლობელი ლევონ არონიანია. სომეხმა მოჭადრაკემ პირველივე ტურში პატარა ნორვეგიელი მაგნუს კარლსენი დაამარცხა და სერიაში 1:0 დაწინაურდა. ყაიმით ითამაშა იუდით პოლგარმა. ტურნირის ერთადერთმა მანდილოსანმა რუს ევგენი ბარეევს გაუყო ქულა.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატს სექტემბერში მექსიკა უმასპინძლებს და მასში 8 მოჭადრაკე ითამაშებს. ოთხი მონაწილის ვინაობა უკვე ცნობილია — ვლადიმირ კრამნიკი, პიოტრ სვიდლერი, ალექსანდრ მოროზევიჩი და ვიშვანათან ანანდი.

**ლაშა გეგეჭკორი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ერთი თავი დაუწერელი წიგნიდან

# როგორ იწრთობოდა ვერცხლი

## ამბავი ორგოლ და ორკაცნაკლული ქართველების გამარჯვებისა

გუშინ ვეტერან წყალბურთელსა და მწვრთნელს ირაკლი ჩხიკვაძეს 70 წელი შეუსრულდა. მან სპორტში მეცადინეობა ცურვით დაიწყო, საქართველოს ჩემპიონი გახდა, მერე წყალბურთმა გაიტაცა და სპორტული კარიერა მწვრთნელობით დაასრულა. იგი ბოლოს თბილისის „დინამოსა" და საქართველოს ნაკრების მწვრთნელად მუშაობდა.

უცნაურია, მაგრამ საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება ისე მიანიჭეს, რომ საქართველოს მასშტაბით ასეთი წოდება არ ჰქონდა, თუმცა შემდგომ ეს კურიოზული ამბავი გამოსწორდა.

ირაკლი ჩხიკვაძე იმ თაობის წარმომადგენელია, რომელთანაც ქართული წყალბურთის საუკეთესო ხანაა დაკავშირებული. ის თბილისის „დინამოში" 1950 წელს მიიწვიეს, ორი წლის მერე კი გუნდი საბჭოთა კავშირის ხალხთა I სპარტაკიადის პრიზიორი გახდა. ეს იყო პირველი ჯილდო, რომელიც საქართველოს წყალბურთელთა ნაკრების წევრებმა, იგივე თბილისის დინამოელებმა საკავშირო სარბიელზე მოიპოვეს. მას შემდეგ ირაკლი ჩხიკვაძემ, სანამ სარბიელზე გამოდიოდა, ამგვარ სპარტაკიადებზე კიდევ თითო ვერცხლის და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში კი ასეთივე ხარისხის ორ-ორი ჯილდო დაიმსახურა. ირაკლი ჩხიკვაძე თანაგუნდელებთან ერთად საერთაშორისო შეხვედრების მონაწილეც გახლდათ, სადაც ასევე მრავალი წარმატება მოუპოვებია, მაგრამ ყველა ამ გამარჯვებიდან ყველაზე გამორჩეულად საკავშირო სპარტაკიადაზე უკრაინელებთან მოგებას იხსენებს. და თუ რატომ შემორჩა მის მეხსიერებას ეს გამარჯვება, ამაზე თავად მოგვითხრობს.

**ავთანდილ გურასაშვილი**



საქართველოს წყალბურთელთა ნაკრების წევრები, რომლებმაც 1963 წლის სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე ვერცხლის მედლები მოიპოვეს: წინა რიგში — ბორის მეგედი, ირაკლი ჩხიკვაძე, ოთარ მიმინოშვილი; მეორე რიგში — ბორის მარგიევი, ჯუმბერ წიკლაური, ნოდარ გვახარია, ვასილ სანაძე, ვიქტორ რომანოვი; უკანა პლანზე — გივი ჩიქვანაია და ლერი გოგოლაძე

კალათბურთისა და, საერთოდ, სპორტის სტაჟიან გულშემატკივრებს დღემდე კარგად ახსოვთ ის ამბავი, რომ 1959 წლის საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე საქართველოს ნაკრებმა, როცა სარბიელზე სამი მოთამაშითღა დარჩა, ლატვიელებზე საარაკო გამარჯვება იზეიმა. მომდევნო სპარტაკიადაზე რაღაც მგავსი ჩვენც გადაგვხდა, ოღონდ ის ამბავი კალათბურთელების გამარჯვებასავით არ გახმაურებულა, არადა, არანაკლებ მნიშვნელოვანი თამაში, დაძაბული ბრძოლა და სასეირო ამბავი იყო.

მაშინ, 1963 წელს, მოსკოვში საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე დიდი ამბიციებით ჩავედით და მედლებზე ვფიქრობდით. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან იმ წლებში ნებისმიერი რანგის საკავშირო სარბიელზე სტაბილურად კარგად გამოვდიოდით და მედალს მედალზე ვეუფლებოდით. ერთი ეგ იყო, ოქროს მედლებამდე ვერც იმ წლებში, ვერც შემდგომ ვერა და ვერ ავმაღლდით. ერთი ნაბიჯით მუდამ მოსკოველები გვჯობნიდნენ. ეს იმითაც აიხსნებოდა, რომ მოსკოველები ჩვენზე გაცილებით უკეთეს პირობებში ვარჯიშობდნენ და მათზე იქ, ზემოთაც დიდად ზრუნავდნენ. მოსკოველებს მუდამ ძლიერი გუნდები ჰყავდათ. მათ უფრო აძლიერებდნენ გადაბირებული ქართველი წყალბურთელები, რომლებსაც დღეს ლეგიონერებს ვუწოდებთ. ამგვარი მოთამაშეები, პრაქტიკულად, მოსკოველთა არც ერთი თაობის წყალბურთელებს არ აკლდათ. მათ შორის იყო იმ წლების საბჭოთა ნაკრების ლიდერი პეტრე მშვენიერაძე, რომელიც მთელ გუნდს თუ არა, ნახევარს მაინც უდრიდა. ამ ყოველივეს ისიც ემატებოდა, რომ ისინი მუდამ შინ თამაშობდნენ და საკუთარ კედლებთან თუ გულშემატკივრებთან ერთად მათ ცოტაცოტას მსაჯებიც ხელს აშველებდნენ. ამიტომაც იმ სპარტაკიადაზე სულ ცოტა, ვერცხლის მედლებისთვის უნდა გვებრძოლა. ქვეჯგუფში პირველი თამაშები იოლად მოვიგეთ, რადგან მეტოქეები ყველფერში ჩამოგვრჩებოდნენ, მაგრამ უკრაინელებთან შეხვედრისას დიდ პრობლემებს გადავეყარეთ. ეს გუნდი ზოგიერთებივით ხელწამოსაკრავი სულაც არ იყო, ჩვენსავით ყველა შეხვედრა მოიგო და საბოლოო წარმატებაზეც ფიქრობდა. მართალია, ფინალურ ეტაპზე ქვეჯგუფებიდან ორ-ორი გუნდი გადიოდა და ამ მხრივ ჩვენც და უკრაინელებსაც თავი ქუდში გვქონდა, მაგრამ საქმე ის იყო, გადამწყვეტ ეტაპზე ვინ ოქროს ქულებით გავიდოდა და ვინ უქულოდ, რაც, რაღა თქმა უნდა, საბოლოო შედეგზე აისახებოდა. ამიტომაც ერთმანეთის პირისპირ ნამდვილი ბრძოლისთვის შემართულნი წარვსდექით, მანამდე კი ჩვენც და ჩვენი მეტოქენიც ჩვენივე გუნდებისა თუ დელეგაციების ხელმძღვანელობამ კიდევ ერთხელ მაგრად „დაგვქოქა". ეს გასაგები იყო, რადგან სპარტაკიადები, როგორც ლაკმუსის ქაღალდი, ისე ავლენდა იმ, მაშინ მოძმედ წოდებული რესპუბლიკების სპორტის განვითარების დონეს. ის შეჯიბრებები ამ რესპუბლიკებისთვის ისეთივე პოპულარული იყო, როგორც დანარჩენი მსოფლიოსთვის ოლიმპიური თამაშები. მზადების პერიოდში იქმნებოდა ნაირგვარი შტაბები, სასპარტაკიადო მზადყოფნის საკითხებზე პარტიულ კრებებს იწვევდნენ, სპარტაკიადებზე წარმატებულებს ხოტბას ასხამდნენ, ხოლო დამარცხებულთა უფროსობას, როგორც იტყვიან, ტყავს აძრობდნენ.

მართალია, „ლუჟნიკების" სარბიელი ორივესთვის ნეიტრალური იყო, მაგრამ გულშემატკივრობა ასეთი სულაც არ ყოფილა. ჩვეულებრივ, ამგვარ კომპლექსურ შეჯიბრზე, თუ საშუალება გვქონდა, თანამემამულეებს სარბიელიდან სარბიელზე დავყვებოდით და ერთმანეთს ვამხნევებდით, მაგრამ უკრაინელებთან შეხვედრისას, რომელთა დელეგაციაც მთლიანად მწვანედ იყო შემოსილი, რატომღაც ობლად დავრჩით. ტრიბუნები ჩვენი მეტოქის გულშემატკივრებით გაივსო და გაზაფხულის ბალახივით სულ გადამწვანდა, ხან პურის ყანასავით ლივლივებდა და ხან ბობოქარ ზღვასავით ღელავდა. განსაკუთრებით მას მერე აბობოქრდა, როცა მეორე პერიოდის ბოლოს უკრაინელები 3:1 დაწინაურდნენ. ჩვენი გულშემატკივრების რაოდენობა კი სულ რამდენიმე კაცით შემოიფარგლებოდა, მაგრამ ბოლოს მეტოქენი მაინც დავადუმეთ.

მოვლენებს გავუსწრებ და გავიხსენებ, რომ ჩვენს იმ კინკილა გულშემატკივართა შორის იყო მაშინდელი საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარე გიორგი სიხარულიძე, რომელიც შემდგომ გამოცემულ თავის მოგონებებში წერდა:

„დიდი მოწონება დაიმსახურეს წყალბურთელებმა, რომლებმაც ვერცხლის მედლები მოიპოვეს. ეს იყო სანიმუშო კოლექტივი, რომელიც კრიტიკულ მომენტში სწრაფად უკეთებდა თავის ძალებს მობილიზაციას, ძლევდა ყველა სიძნელეს. ასე იყო უკრაინის გუნდთან გადამწყვეტ მატჩში; თამაში უკრაინელებს მიჰყავდათ — 3:1 ჩვენმა წყალბურთელებმა უდიდესი ტაქტიკური, ტექნიკური და ფიზიკური დატვირთვის ხარჯზე გარდატეხა შეიტანეს თამაშში და შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 4:3."

ოღონდ იმ საოცარი მატჩის თაობაზე ასე რამდენიმე სიტყვით თხრობა მიახლოებით წარმოდგენასაც ვერ გვიქმნის იმ პერიპეტიებზე, ბრძოლის დრამატიზმსა და გამარჯვებაზე, რომელსაც მივაღწიეთ.

იმ შეხვედრაში ჩემთან ერთად თამაშობდნენ: ლერი გოგოლაძე, ბორის მეგედი, გივი ჩიქვანაია, ოთარ მიმინოშვილი, ვასილ სანაძე და ვიქტორ რომანოვი. სხვათა შორის, ამათგან შემდგომ გოგოლაძე და მიმინოშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები გახდნენ.

ჩვენს გარდა გუნდში სათადარიგოებად იყვნენ: ბორის მარგიევი, ჯუმბერ წიკლაური, ლევან გიორგაძე და ზურაბ ლომიძე, ოღონდ მაშინდელი წესებით, მატჩის მოთამაშის სათადარიგო წყალბურთელით გამოცვლა არ შეიძლებოდა. გუნდი როგორი შემადგენლობითაც დაიწყებდა თამაშს, ისევე უნდა გაეგრძელებინა და დაესრულებინა კიდეც.

ასე იყო თუ ისე, პირველ პერიოდში ანგარიში მიმინოშვილმა გახსნა. შემდეგ კი მეტოქემ საპასუხო ბურთი გაგვიტანა — 1:1. მეორე პერიოდის დასაწყისში უკრაინელები 3:1 დაწინაურდნენ. პერიოდის ბოლო წამებზე კი ერთდროულად ორნი, გივი ჩიქვანაია და ბორის მეგედი ბურთის გატანამდე გაგვიძევეს და მესამე პერიოდი ასეთი დანაკლისით დავიწყეთ. მანამდე ჩვენმა მწვრთნელმა ნოდარ გვახარიამ შესვენებისას დაგვარიგა, თამაშის განახლებისას ბურთის ხელში ჩასაგდებად არ იბრძოლოთ, მეტოქეს დაუთმეთ და ბურთიც უმალ გაუშვითო.

კაცმა რომ თქვას, გვახარია მართალი იყო და მსგავს ვითარებაში ყველა მწვრთნელი ასევე დაარიგებდა შეგირდებს, რადგან წყალბურთში, თითქმის ყოველთვის, როცა მეტოქეს „ზედმეტი" მოთამაშე ჰყავს, რიცხობრივ უპირატესობას იყენებს და ბურთი გააქვს, მაშინ კი, თუ მოწინააღმდეგეს ორი „ზედმეტი" წყალბურთელი ჰყავს, ეს უკვე გარდაუვალი გოლია და ასეთ მეტოქესთან ბრძოლა წყლის ნაყვას და ენერგიის ამაო ხარჯვას ნიშნავს.

ერთი სიტყვით, დაიწყო თამაში და ეს ჩვენი ვიქტორ რომანოვი ცენტრისკენ ბურთის „ხელში ჩასაგდებად" და თავისი ვალის მოსახდელად ისე დაიძრა, როგორც მწვრთნელმა დაგვარიგა, მაგრამ მოხდა საწაული, მეტოქეებს მაინც დაასწრო. ამასობაში მე და მიმინოშვილი, ისე, რომ თავი არც ჩვენ მოგვიკლავს, ორმეტრიან ზონაში აღმოვჩნდით, თუმცა ორ-ორმა მცველმა უმალ ბლოკში მოგვაქცია. რომანოვმა ბურთი ჩემკენ გადმოაგდო. ბურთი რომ ხელში ჩამეგდო, ჩემს წინ მდგომ მეტოქეს, მგონი ზემცოვი იყო, ცალი ხელი მაჯაში ვტაცე ისე, რომ არავის შეუმჩნევია, მეორე ხელით კი ბურთს დავეუფლე. ამასობაში მეორე მეტოქე, უკან რომ მედგა, მხრებზე დამაწვა და კარში ტყორცნის საშუალება არ მომცა. მცველს არ გავძალიანებივარ და ბურთს ხელი გავუშვი. ეს უკვე ჩვენს სასარგებლოდ ჯარიმა იყო. ბურთი ვიღაცასთან უნდა გამეთამაშებინა და ამ დროს ალყაში მოქცეულმა ჩვენმა „ფართხალმა", როგორც მიმინოშვილს ვეძახდით, ჩვეულებისამებრ, ისეთი ფართხალი და დგაფუნი დაიწყო, მეტოქეები დააბნია. ამით ვისარგებლე და პასი გავუკეთე. იმანაც არც აცია, არც აცხელა და შეუჩერებლად, გაკვირვებისგან პირდაღებული მეტოქის თავს ზემოთ გადაუგდო. ანგარიშში სხვაობა შევამცირეთ და მესამე პერიოდი ასეც დამთავრდა. მეოთხის დასაწყისში მეტოქეს ისევ რიცხობრივი უპირატესობა აღმოაჩნდა, რადგან ახლა ბორის მეგედი გაგვიძევეს ბურთის გატანამდე. გივი ჩიქვანაია ეგრედ წოდებულ „სტოლბაზე" დადგა, აქეთ-იქით კი ორი მცველი ამოუდგა, მაგრამ ჩვენი ჯილას წინააღმდეგ რას გახდებოდნენ, როცა უკრაინელები კი არა, მსოფლიოს საუკეთესო წყალბურთელები ვერაფერს აწყობდნენ მასთან. ეგ კი არა, ჩამოკიდებულ მეტოქეს ხშირად კარისკენ მიათრევდა და ბურთი ისე გაჰქონდა. იგივე განმეორდა უკრაინელებთანაც, როცა ერთ-ერთი მათგანი ზურგზე შეაჯდა, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ გივის ბურთისთვის ხელი გაეშვა და ჯარიმა აეკიდებინა, კარში ყუმბარასავით გააქანა და ლამის ბადე გაგლიჯა — 3:3.

შეხვედრის დამთავრებამდე დაახლოებით 2-2,5 წუთიღა რომ რჩებოდა, რიცხობრივი უპირატესობა ახლა ჩვენ აღმოვჩნდით და გამოვიყენეთ კიდეც. ბურთი სწრაფად გავათამაშეთ და მეკარისგან მარჯვნივ დამიგდეს. თუ ცაცია არ ხარ, ამ დროს გოლის გატანა ძალზე ძნელია, მით უმეტეს, ჭკვიანი მცველები თავდამსხმელისკენ იწევენ, რათა ტყორცნის კუთხე შეამცირონ, ეს კი უკრაინელებმა რატომღაც არ გააკეთეს და მეც დარტყმის საშუალება მომეცა.

4:3 — ასე დასრულდა ეს შეხვედრა, რაც დღემდე გუშინდელივით მახსოვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როლან გაროსი 2007
## პარიზი. 27 მაისი – 10 ივნისი
## საპრიზო 13 422 080 €

AFP პარიზიდან



ვინუს უილიამსმა წვიმასა და წვიმას შორის თამაშის მოგებაც მოასწრო

# და დის კვალზე: წვიმას ვინუსმაც აჯობა

28 მაისი

კაცები

პირველი წრე

ნიკოლაი დავიდენკო (4, რუსეთი) — სტეფანო გალვანიც (იტალია) 6:3 6:1 6:1

ქალები

პირველი წრე

ვინუს უილიამსი (26, აშშ) — ალიზე კორნე (საფრანგეთი) 6:4 6:3; ეშლი ჰარკლროუდი (აშშ) — ალექსანდრა ვოზნიაკი (კანადა) 6:2 7:6; მიქაელა კრაიჩეკი (ჰოლანდია) — სევერინ ბრემონი (31, საფრანგეთი) 6:3 6:3; სამანტა სტოსური (27, ავსტრალია) — ჯამეა ჯექსონი (აშშ) 6:1 6:2; ტატიანა გარბინი (19, იტალია) — აკიკო მორიგამი (იაპონია) 7:6 6:4; ნა ლი (16, ჩინეთი) — სანდრა კლოზელი (გერმანია) 7:6 6:0

წვიმა და ქარი აქამდე უიმბლდონის საფირმო ნიშანი იყო — ლონდონურ სლემტურნირზე თამაშების გადადებითა და ტურნირის გაწელვით ვერავის შეაშინებ. მაგრამ უკანასკნელი ორი წელიწადია, პარიზული ბუნება მაქსიმალურად ცდილობს, ინგლისურს დაემსგავსოს. ამას კი ფრანგები სულაც არ არიან ჩვეულნი და ამიტომაც „როლან გაროსის" ორგანიზატორთა შორის პანიკის ნიშნები შეინიშნება. მართალია, შარშან დროზე გამოიდარა და სათამაშო განრიგიც ორიოდ დღეში დარეგულირდა, მაგრამ წლეულს საეჭვოა, ყველაფერი ასევე იოლად განიმუხტოს, მით უმეტეს, რომ სინოპტიკოსები საიმედო პროგნოზებს ვერ აკეთებენ.

მოკლედ, პარიზულმა ცამ გუშინაც მოაღო პირი და თითქმის მთელი დღე შეუჩერებლად იწვიმა. ჩოგბურთელებს კი კარგი ვარჯიში გამოუვიდათ კორტსა და გასახდელს შორის სირბილით. ჰოდა, ვისღა უკვირს, რომ დროის იმ მცირე მონაკვეთში, ანუ როცა პარიზში არ წვიმდა, მხოლოდ შვიდი მატჩის დამთავრება მოესწრო და მათზე ორიოდ სიტყვას მოგახსენებთ.

უმცროსი დის დარად პირველი წრე წარმატებით გაიარა ვინუს უილიამსმაც. ოღონდ მან სერენასგან განსხვავებით დამაჯერებლად იმარჯვა. „როლან გაროსის" 2002 წლის ფინალისტი მასპინძელ ალიზე კორნეს ხვდებოდა და მის დამარცხებას საათზე ოდნავ მეტი მოანდომა. თუმც თინეიჯერი გალის თამაშიც ალვნიშნოთ, რომელსაც ყურები არ ჩამოუყრია და თავიდანვე აშკარად საბრძოლველად გავიდა კორტზე. განსაკუთრებით კარგად კორნე პირველ სეტში გამოიყურებოდა, როცა კარგა ხანს თანაბრად ეომა გამოცდილ მეტოქეს, მაგრამ ვინუსმა საჭირო მომენტში მოუმატა და დაწინაურდა კიდეც. აი, მეორე პარტიაში კი ამერიკელის უპირატესობა უკვე არანაირ ეჭვს აღარ იწვევდა.

„მთლიანობაში საკუთარი თამაშით კმაყოფილი ვარ. თავიდან რიგ მომენტებში სწორ გადაწყვეტილებებს ვერ ვიღებდი, რაც უთამაშებლობის ბრალია, მაგრამ ბოლოსკენ უკვე კომფორტულად ვგრძნობდი თავს" — განაცხადა ნამატჩევს უილიამსმა.

ვინუსი ახლა თანამემამულე ეშლი ჰარკლროუდს შეხვდება, რომელმაც ასევე ხელმეორედ გაწვიმებამდე მოასწრო კანადელი ალექსანდრა ვოზნიაკის წაქცევა. პირველი წაგებული განთესილი კი მასპინძელთა სამწუხაროდ, სევერინ ბრემონი გამოდგა. ეს ფრანგი მიქაელა კრაიჩეკმა ძალიან ადვილად წააქცია.

**გაგა ლომჯარიძე**

# კაცები

**განთესვის რეიტინგი**

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 7515 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 5225 |
| 3. ენდი როდიკი (აშშ) | 2930 |
| 4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 2840 |
| 5. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 2810 |
| 6. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 2810 |
| 7. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 2260 |
| 8. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2180 |
| 9. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 2100 |
| 10. ტომი ჰაასი (გერმანია) | 2095 |
| 11. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 2090 |
| 12. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 2020 |
| 13. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 1900 |
| 14. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 1725 |
| 15. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 1685 |
| 16. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 1540 |
| 17. მარიო ანჩიჩი (ხორვატია) | 1425 |
| 18. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 1415 |
| 19. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 1375 |
| 20. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 1355 |

**საჩემპიონო რბოლა**

| | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 535 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 461 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 377 |
| 4. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 266 |
| 5. ენდი როდიკი (აშშ) | 233 |
| 6-7. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 214 |
| 6-7. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 214 |
| 8. ტომი ჰაასი (გერმანია) | 210 |
| 9. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 205 |
| 10. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 198 |
| 11. ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 190 |
| 12. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 189 |
| 13. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 176 |
| 14. გილერმო კანასი (არგენტინა) | 173 |
| 15. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 152 |
| 16. კარლოს მოია (ესპანეთი) | 147 |
| 17-18. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 143 |
| 17-18. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 143 |
| 19. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 141 |
| 20. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 124 |

# ქალები

**განთესვის რეიტინგი**

| | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 4119 |
| 2. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3453 |
| 3. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 3032 |
| 4. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 2801 |
| 5. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 2727 |
| 6. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1991 |
| 7. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 1906 |
| 8. სერენა უილიამსი (აშშ) | 1880 |
| 9. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1866 |
| 10. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1813 |
| 11. დინარა საფინა (რუსეთი) | 1798 |
| 12. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1772 |
| 13. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1769 |
| 14. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1740 |
| 15. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1525 |
| 16. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 1390 |
| 17. შაჰარ პირი (ისრაელი) | 1388 |
| 18. ნა ლი (ჩინეთი) | 1286 |
| 19. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 1236 |
| 20. კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) | 1000 |

**საჩემპიონო რბოლა**

| | |
|---|---|
| 1. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 2160 |
| 2. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 1661 |
| 3. სერენა უილიამსი (აშშ) | 1641 |
| 4. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 1520 |
| 5. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 1246 |
| 6. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1133 |
| 7. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1096 |
| 8. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 1095 |
| 9. დინარა საფინა (რუსეთი) | 1071 |
| 10. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1021 |
| 11. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1015 |
| 12. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 986 |
| 13. შაჰარ პირი (ისრაელი) | 922 |
| 14. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 865 |
| 15. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 851 |
| 16. ნა ლი (ჩინეთი) | 812 |
| 17. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 716 |
| 18. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 699 |
| 19. სიბილ ბამერი (ავსტრია) | 670 |
| 20. ლუსი შაფაროვა (ჩეხეთი) | 650 |

# სარეიტინგო ადი-ჩადი

სეზონის მეორე სლემტურნირის, „როლან გაროსის" დაწყების წინ ATP-სა და WTA-ს მორიგი რეიტინგები გამოქვეყნდა და მათში ძველებურად 14 ჩვენიანია მოხსენიებული — 3 კაცი და 11 ქალი. ამ თოთხმეტიდან, წინა კლასიფიკაციასთან შედარებით მნიშვნელოვან პროგრესს სოფო შაფათავამ და სოფო ქვაცაბაიამ მიაღწიეს, რომლებმაც შესაბამისად 61 და 62 ნაბიჯით წაიწიეს წინ. აი, სოფო მელიქიშვილი კი სულ დაბლა და დაბლა ეშვება და ამჯერადაც 82 საფეხურით დაქვეითდა. გვარიანად უკან დაიხიეს მანანა შეფაქიძემ და თეონა ცერცვაძემაც, ხოლო დანარჩენები, დაახლოებით იმავე პოზიციებზე არიან, სადაც წინა კლასიფიკაციაში იყვნენ.

**კაცები**

202 (-1) ------ ირაკლი ლაბაძე ---------------- 202
476 (-7) ------ ლადო ჩიხლაძე ------------------ 59
1348 (-7) ----- ნოდარ ითონიშვილი -------------- 2

**ქალები**

152 (0) ------- მაკა ჩახნაშვილი -------------- 202,0
325 (-3) ------ ანა ტატიშვილი ----------------- 68,25
532 (+7) ------ სალომე დევიძე ----------------- 27,75
645 (-82) ----- სოფო მელიქიშვილი -------------- 19,0
655 (+61) ----- სოფო შაფათავა ----------------- 18,0
772 (+1) ------ ოქსანა კალაშნიკოვა ------------ 12,5
788 (+1) ------ ეკა გორგოძე ------------------- 12,0
790 (-46) ----- მანანა შაფაქიძე --------------- 12,0
1023 (+23) ---- სოფო ქვაცაბაია ---------------- 6,0
1301 (-3) ----- მარიამ ქურდაძე ---------------- 2,75
1326 (-89) ---- თეონა ცერცვაძე ---------------- 2,5

# ოთხნი სტამბოლში



სოფო შაფათავა

**ამ კვირაში** სტამბოლის თიხის კორტებზე ITF-ის ეგიდით ქალთა 10-ათასიანი ტურნირი ტარდება, რომლის ძირითად ბადეში ერთბაშად ოთხი ჩვენებურია. ამათგან სამის — სოფო შაფათავას, მანანა შაფაქიძესა და სოფო ქვაცაბაიას ძირითად ტურნირში მონაწილეობა რეიტინგით არის გამოწვეული, ხოლო თინა ყაველაშვილმა იქ საკვალიფიკაციო ეტაპიდან გააღწია.

შაფათავა და შაფაქიძე, შესაბამისად მე-7 და მე-8 ნომრებად არიან განთესილნი. პირველის საწყისი მეტოქე 18 წლისა და რეიტინგის 1059-ე ადგილზე მყოფი თურქი ეილულ ბენლია, ხოლო მეორე შეჯიბრს 16 წლის ბელგიელთან, სილვია სევოლთან მატჩით დაიწყებს.

სევოლი, ისევე როგორც ქვაცაბაიას პირველი მეტოქე, ბერძენი ტრეისი კასტილო, ძირითად ბადეში კვალიფიკაციის გავლით მოხვდა, ხოლო ყაველაშვილის მოწინააღმდეგეს, ავსტრალიელ ჯეიდ ჰოპერს ტურნირის ორგანიზატორებმა „უაილდ ქარდი" უბოძეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი

# ჯიმ ბალსილიე მტაცებელია: მტაცებლები კანადაში მიჰყავს



**ისეთი** პირი უჩანს, რომ კანადელი ბიზნესმენი ჯიმ ბალსილე აისრულებს თავის ოცნებას და მსოფლიოს საუკეთესო ლიგის კლუბს მაინც დაისაკუთრებს. კომპანია „Research in Motion"-ის მფლობელი შარშან ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც „პიტსბურგ პინგვინსის" ყიდვას ცდილობდა. ბალსილემ მაშინ მარიო ლემიეს ყველაზე მეტი, 175 მილიონი დოლარი შესთავაზა და სურვილი კინაღამ აისრულა. თუმც ბიზნესმენი უშუალოდ ნჰლ-ის წინააღმდეგობას წააწყდა, რადგანაც ბალსილეს გუნდის კანადაში გადაყვანა უნდოდა, ლიგას კი არ აწყობდა პიტსბურგული ბაზრის დაკარგვა.

მოგეხსენებათ, „პინგვინები" პიტსბურგში დარჩნენ, რის შემდეგაც, ბალსილემ ყურადღება სხვა გუნდს მიაპყრო და როგორც ჩანს, ახლა მიზანს მიაღწევს. კანადელი ბიზნესმენი „ნეშვილ პრედატორსს" ყიდულობს, რაც შეიძლება, უკეთესიც არის, რადგანაც საქმის ნულიდან დაწყება კი არ მოუწევს, არამედ ლიგის ლამის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს დაისაკუთრებს (გასულ სეზონში „მტაცებლებმა" 110 ქულა მოაგროვეს და რეგულარულში მეოთხე ადგილი დაიკავეს).

იკითხავთ, „ნეშვილის" გაყიდვა ვის რაში სჭირდებაო? საქმე იმაშია, რომ მართალია, გუნდმა ბოლო წლებში სერიოზულ წარმატებებს მიაღწია, საკუთარ ქალაქში დიდი პოპულარობა მაინც ვერ მოიპოვა. „მტაცებლების" ახლანდელმა მფლობელმა და 1997 წელს ნეშვილში ნჰლ-ის გუნდის შექმნის მთავარმა ინიციატორმა კრეიგ ლეოპოლდმა გამოითვალა, რომ ამ 10 წელიწადში 70 მილიონი დაუკარგავს.

ჰოდა, ლეოპოლდმა, რომელმაც ვერც გულშემატკივრები დააინტერესა და ვერც ადგილობრივი ბიზნესმენები მიიზიდა, მიზანშეუწონლად ჩათვალა გუნდის შენარჩუნება და ბალსილეს წინადადებას დათანხმდა — კანადელმა „მტაცებელბში" 220 მილიონი გადაიხადა. რადგანაც საეჭვოა, რომ ნეშვილში კლუბისადმი ინტერესი ახლა მაინც მოიმატებს, შეიძლება, დარწმუნებით ვთქვათ, რომ გუნდი ადგილმდებარეობას აუცილებლად შეიცვლის.

სავარაუდოდ, „მტაცებლები" კანადაში, სამხრეთ ონტარიოში გადაინაცვლებენ. ჯერჯერობით ორი ქალაქი, ჰამილტონი და კიტჩენერი სახელდება.

თუმც გარიგების ჩაშლის მცირე შანსი მაინც არსებობს. საქმე იმაშია, რომ „ნეშვილის" გაყიდვის ფაქტი ნჰლ-ის მმართველთა საბჭომ უნდა დაამტკიცოს და აქ ბალსილე შეიძლება ბლომად უსიამოვნებებს გადაეყაროს. ეს კი იმიტომ, რომ ნჰლ-ს წმინდად კომერციული თვალსაზრისით არ აწყობს რომელიმე გუნდის კანადაში გადასვლა და ადგილმდებარეობის შეცვლაზე თუა საუბარი, კანზას-სიტის ვარიანტს უფრო ემხრობა, სადაც ახალი სუპერთანამედროვე არენა ააშენეს.

**კახა ლომჯაშვილი**

ველორბოლა

# კარპეცის კატალონია

**გუშინ** „ჯიროს" ქარავანს დასვენების დღე ჰქონდა და ჩვენც ამით ვისარგებლოთ, სხვა ველოამბებზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა.

ესპანეთში „პრო-ტურის" სერიაში შემავალი შვიდეტაპა „კატალონიის ვუელტა" ჩატარდა და „კაისე დეპარგნის" რუსი მრბოლის ვლადიმირ კარპეცის გამარჯვებით დასრულდა.

კატალონიური რბოლა დიდი „ვუელტას" შემდეგ ესპანეთში ყველაზე პოპულარული ველოშეჯიბრია და მასზე გამარჯვება მეტად პრესტიჟული გახლავთ. ეგ კი არა, კატალონიური წრე სრულიად ესპანურზე უფრო ძველია — პირველად 1911 წელს ჩატარდა და მასზე ძველი ისტორია დღევანდელი რბოლებიდან მხოლოდ „ტურ დე ფრანსსა" (1903) და „ჯირო დიტალიას" (1909) აქვთ.

თანაც წლევანდელ რბოლაში საკმაოდ სერიოზულმა ხალხმა მიიღო მონაწილეობა, ისეთებმა, რომლებიც ძირითად აქცენტს „ტურ დე ფრანსზე" აკეთებენ, ამიტომაც „ჯიროს" ზურგი აქციეს და „დიდი მარყუჟისთვის" უკეთ მოსამზადებლად, სწორედ კატალონიას მიაშურეს. ალექსანდრ ვინოკუროვი, კრისტოფ მორო, დენის მენშოვი, ოსკარ სევილია, ფრანსისკო მანსებო, მაიკლ როჯერსი — ამათი ჯობნა არ გახლავთ იოლი საქმე და 26 წლის რუსს, ვინც ესპანურ ველოგუნდში ალეხანდრო ვალვერდეს გრეგარი გახლავთ, ნამდვილად შეუძლია იამაყოს ამ წარმატებით.




AFP ბარსელონიდან

„ეს ჩემი კარიერის ერთ-ერთი უმთავრესი გამარჯვებაა" — განაცხადა ბარსელონაში ფინიშის შემდეგ კარპეცმა, ვისაც 2004 წლის „ტურ დე ფრანსზე" ახალგაზრდა (25 წლამდე) მრბოლთა კატეგორიაში უპირველია.

საბოლოო ჩათვლაში კარპეცმა 40-40 წამი მოუგო მეორე და მესამე პრიზიორებს, ავსტრალიელ როჯერსსა და თავის თანამემამულე მენშოვს. მორო, სევილია და მანსებო გამარჯვებულს წუთნახევარზე მეტით ჩამორჩნენ.

**გია მუჯირი**

ავტორბოლა

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1 — № 1 საავტომობილო ზეთი

## ალონსოს წუთი გაუკვირდა

**კვირას** მონაკოს საპირველფორმულო გრან პრიზე „მაკლარენ-მერსედესის" პილოტებმა ფერნანდო ალონსომ და ლუის ჰემილტონმა მონტე კარლოს ალმართ-დალმართიან, ვიწრო ქუჩებში წარმოუდგენლად სწრაფად იქროლეს და ვეება უპირატესობით გაიმარჯვეს.

ფერარელ ფელიპე მასას გარდა, ფინიშამდე მიღწეული 15 მეტოქე „მაკლებს" ერთი-ორი წრით ჩამორჩა. ისე, ბრაზილიელიც ახლოს იყო წრიულ შერცხვენასთან — ფერნანდოსთან მისმა პასივმა წუთი და ცხრა წამი შეადგინა.

კვალიფიკაციის მომგებმა ალონსომ მთელი რბოლა ჩვეულ სტილში, სწრაფად და უშეცდომოდ ჩაატარა და ფორმულა 1-ის ყველაზე პრესტიჟულ ეტაპზე ჰეთ თრიქით გაიმარჯვა:

„ეს ფანტასტიკური უიქენდი იყო. ჰეთ თრიქის — პოული, უსწრაფესი წრე, მოგება — შესრულება ძალიან სასიამოვნოა, განსაკუთრებით მონაკოში. რბოლისგან ჭეშმარიტი სიამოვნება მივიღე, მანქანასთან არანაირი პრეტენზია არ მაქვს. კარიერაში უკვე მე-17 ეტაპი მოვიგე, მაგრამ არც ერთხელ არ ჩამომიტოვებია წუთზე მეტით ფინიშთან მესამე პილოტი. გამოდის, რომ ეს ჩემი ყველაზე იოლი გამარჯვებაა."

გარდა ამისა, ეს ალონსოს მეათე პირადი დუბლია (პოული და მოგება) და 150-ე დიდი პრიზი თავის „მაკლარენისთვის". უფრო მეტი — 195 მოგება მხოლოდ „ფერარის" აქვს.

დაუჯერებელი ჩანს 22 წლის ახალბედა ჰემილტონის ხუთი პოდიუმი ხუთ რბოლაში. მუქკანიანი ინგლისელი გიგანტური ნაბიჯებით მიიწევს წინ — მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ თანაგუნდელთან ერთად სათავეში უდგას სატურნირო ცხრილს და არაა გამორიცხული, რომ სადებიუტო სეზონშივე მოიპოვოს ტიტული. ყოველ შემთხვევაში, მიყოლებით ოთხი მეორე ადგილის შემდეგ ყველანი უახლოეს ხანში ლუის-კარლის პირველი გამარჯვების მოლოდინში არიან, ხოლო შემდეგ, შემოდგომაზე, იქნებ...

## მაკლარენს მონაკოში მეტოქეები არ ჰყოლია

**მონაკომდე** ორ ეტაპზე — ბაჰრეინსა და ესპანეთში — ჰეთ თრიქით გამარჯვების შემდეგ მონტე კარლოში ფერარელ ფელიპე მასას მხოლოდ მესამე ადგილი დიდი მოულოდნელობა გახდა. უფრო გასაკვირი კი გამარჯვებულთან ბრაზილიელის წუთზე მეტი ჩამორჩენაა:

„დღეს „მაკლარენებმა დაუჯერებელი სისწრაფე განავითარეს. ასი კი არა, 150 პროცენტითაც რომ გამომედო თავი, შედეგი მაინც იგივე იქნებოდა. ჩვენ არაფრის შეცვლა არ შეგვეძლო, მხოლოდ მეტოქეების სერიოზული შეცდომის, ანდა გამოთიშვის იმედზე უნდა ვყოფილიყავით. ამდენად, მესამე ადგილითაც კმაყოფილი ვარ."

აღსანიშნავია, რომ ეს მასას პირველი პოდიუმია მონაკოში. საერთო ჩათვლაში იგი „მაკლ" ლიდერებს არცთუ ბევრით, ხუთი ქულით ჩამორჩება.

ფელიპეს თანასკუდერიელმა კიმი რაიკონენმა კვალიფიკაციაში ბოლიდის დაზიანების გამო ბრძოლა მხოლოდ მე-16 პოზიციიდან დაიწყო, თუმც ბოლოს მერვემდე ავიდა და კინკილა ქულა მაინც მიიღო.

## რენო ჯანზე მოდის

**ბოლო** ორი ჩემპიონატის აბსოლუტური ტრიუმფატორი „რენო" წლეულს მძიმე მდგომარეობაშია. მოკრძალებულბიუჯეტიანმა გუნდმა ბობოლების დარად ვერ შეძლო ტექნიკურად გადახალისება და კონსტრუქტორთა თასზე თავისთვის სამარცხვინო მეოთხე ადგილზეა.

ოციოდე დღის წინ „რომბიან" მანქანებში მცირე სიახლე გამოსცადეს — შეცვლილი დაკიდულობა და უფრო დახვეწილი წინა ანტიფრთა. მხოლოდ ამის შედეგი იყო თუ არა, ტესტების შემდეგ მრბოლბოსობას განწყობა აშკარად გამოუსწორდა.

„რენოს" აღმასრულებელმა დირექტორმა ფლავიო ბრიატორემ მონაკოში კვალიფიკაციის წინ რიხით განაცხადა, მეორე-მესამე სასტარტო რიგისთვის ვიბრძოლებთ და დღეიდან მუდამ ასე იქნებაო.

ბოსის წინასწარმეტყველება სავსებით გამართლდა — ჯანკარლო ფიზიკელამ მართლაც მეორე რიგიდან, კერძოდ, მეოთხე პოზიციიდან დაიწყო რბოლა და ფინიშთანაც ასევე მეოთხე მივიდა. ეს კი მიმდინარე ჩემპიონატში 34 წლის იტალიელი მძღოლის საუკეთესო შედეგია.

ბრიატორე: „ჯანკარლომ უიქენდი შესანიშნავად ჩაატარა და დამსახურებულადაც იყო ფინიშზე მეოთხე, ხოლო გუნდი ლიდერებს მიუახლოვდა. აშკარაა, რომ სწორი მიმართულებით მივდივართ. რა თქმა უნდა, წინანდელ ფორმამდე ჯერ შორსაა, მაგრამ გვინდა, ყოველ რბოლაში პროგრესი გვქონდეს, რათა შემოდგომაზე ლიდერთა დონეზე გავიდეთ."

**გია ახალაძე**

# ვაი სტაიერებს!

## ბეკელემ ფეხები გაახურა


AFP ფოტო

**ჰოლანდიის** პატარა და მყუდრო ქალაქი ჰენგელო, მძლეოსნობის ვნებიანი და ხმაურიანი მოყვარულებით, თითქმის იდეალური პირობები გრძელ დისტანციაზე სირბილისთვის — 16-18 გრადუსი სითბო, როდესაც არც მზე გწვავს კილომეტრების სირბილით შედღვებილ ტვინს და არც დაბალი გრადუსები გისუსხავს სხეულს. ბევრ ცნობილ სტაიერს უყვარს იქ გამოსვლა და ბევრიც ნახა სტადიონის ბეჯითად შემვსებმა 18 ათასმა ჰოლანდიელმა.

ჰენგელოში მსოფლიოს არა, მაგრამ სეზონის ერთბაშად ოთხი რეკორდი დამყარდა. 2004 წლის ათენის ოლიმპიადის ბრინჯაოსანმა სტიპლჩეიზერმა ანუ წინაღობებიან 3 კილომეტრზე მორბენალმა, კენიელმა პოლ კიპსიელე კოეჩმა შანსიც კი არავის დაუტოვა. მიუხედავად იმისა, რომ მძლავრი კონკურენტები ჰყავდა, კოეჩმა ეს საში კილომეტრი ლამის 1500 მეტრზე სარბენ ტემპში გაირბინა და დისტანციის 8 წუთსა და 1,05 წამში დაფარვით სეზონის საუკეთესო შედეგი ჩაიწერა. იდეაში კოეჩისთვის მთავარი წინააღმდეგობა მისსავე თანამემამულეს, ათენში მის გამსწრებსა და იქ ვერცხლის მედლის მომპოვებელ ბრიმინ კიპროპ კიპრუტოს უნდა გაეწია. ეს ორი სახელგავარდნილი კენიელი კილომეტრნახევარი მხარდამხარ მირბოდა, მაგრამ მერე კიპრუტოს რაღაც დაემართა და ჩამორჩა, კოეჩმა კი ისე გაქუსლა, რომ მდევართა შორის ყველაზე მეტი ფხის გამომჩენს, ასევე კენიელ რობერტ კიპროტიჩს 15,83 წამით მიასწრო. კიპრუტო მხოლოდ მეოთხე იყო.

სეზონის მეორე რეკორდი ასევე გრძელ დისტანციაზე სირბილში დამყარდა: 10-კილომეტრზე ერთმანეთს ომი გამოუცხადა სტაიერებით განთქმულმა ორმა ქვეყანამ — ეთიოპიამ და კენიამ. სეზონის საუკეთესო შედეგით (26.48,73) იმარჯვა ეთიოპელმა სილეში შიჰინემ, ვინაც ფინიშზე წკიპზე შეასწრო ორ კენიელს — ელიუდ კიპჩოგესა (+0,29 წამი) და მოუზეს მოსოპს (+0,82 წამი). საფინიშო სპურტი ლამის სპრინტერული გამოვიდა — 10-კილომეტრიან დისტანციაზე პირველ და მესამეადგილოსანს შორის წამზე ნაკლებ სხვაობას ყველა ტურნირზე როდი შეესწრები კაცი.

იქვე, მეხუთე ადგილზე დაასრულა სირბილი არცთუ შორეულ წარსულში გრძელი დისტანციების მპყრობელმა ჰაილე გებრსელასიემ. ეთიოპიელი მორბენალი 5 წლის წინ რაგინდარა დისტანციაზე მეხუთე ადგილს დიდ წარუმატებლობად ჩათვლიდა და პრესას თავის იმედგამცრუებელ კომენტარებსაც თავჩაზრილი უპატაკებდა. მაგრამ ახლა ჰაილე ამ ადგილითაც ფრიად კმაყოფილია, მით უმეტეს, რომ 10 კილომეტრი 27 წუთზე ნაკლებში (26.52,8) გაირბინა. 18 ათასმა გულშემატკივარმა ტაშით გააცილა დიდი ეთიოპი, რომელსაც ამ ქალაქში ყოველთვის სითბოს აგრძნობინებდნენ და „მისტერ ჰენგელოსაც" ეძახდნენ.

სეზონის მესამე რეკორდი ჩვენი დღეების საუკეთესო სიგრძეზე მხტომელმა, პანამელმა ირვინგ სალადინომ დაიურვა. მას გადასარევი წინა სეზონი ჰქონდა, თუნდაც „ოქროს ლიგის" 6 ეტაპიდან 5-ის მოგების გახსენებაც კმარა. და არანაკლებ ფორმაში რომაა ამ სეზონისთვის, პანამელმა ჰოლანდიაშიც დაადასტურა, როცა 1,2 მეტრ-წამ პირქარში 8,53 მეტრზე ისკუპა და ზუსტად ნახევარი მეტრით აჯობა მეორე ადგილზე გასულ კუბელ დიეგო მელისს.

სეზონის მეოთხე რეკორდი კი ქალებში დამყარდა — 5 კილომეტრზე მორბენლებში ეთიოპიელმა გულეტე ბურიკამ 14.38,18 შედეგი დააფიქსირა და ორ კენიელ მდევარს — ფლორენს ჯებეტ კიპლაგატსა და პრისკა ჯეპლეტინგ ნგეტიჩს შესაბამისად, 2,56 და 3,82 წამით აჯობა.

რეკორდს ელოდნენ თანამედროვეობის უძლიერესი 400-მეტროსნისგან, ამერიკელი ჯერემი უორინერისგან, რომელსაც ორგანიზატორები ერთი წრის 44 წამზე ნაკლებში გარბენისთვის 10 ათას დოლარს შეჰპირდნენ. მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმაც ძალიან სწრაფად ირბინა და ყველას აჩვენა, ვინაა ამ დისტანციაზე საუკეთესო, თუმც 10 ათას დოლარამდე 0,04 წამი დააკლდა — 44,03 შედეგი აჩვენა.

ჰენგელოში ერთი მნიშვნელოვანი რამ მოხდა: სარბენ ბილიკს დაუბრუნდა უძლიერესი სტაიერი, ეთიოპიელი კენენისა ბეკელე, რომელსაც მარტში კენიურ მომბასაში კროსის მსოფლიოს ჩემპიონატის შუა გზიდან მიტოვების შემდეგ ტრავმის გამო არსად ურბენია. ახლა ბეკელემ არაოლიმპიური დისტანციით, 3 კილომეტრით დაიწყო და 8.13,51 შედეგი აჩვენა, რომელიც, როგორც ხედავთ, 3 წინაღობებიანი კილომეტრის გამარჯვებულის შედეგსაც ვერ დაუდგება გვერდით. მაგრამ ბეკელე ყოჩაღი მორბენალია, მალე აღიდგენს ფორმას და ვაი, მსოფლიოს საუკეთესო სტაიერებს!

**ბოტე ყორშია**

ირვინგ სალადინომ 8,53 მეტრზე ისკუპა







# ტაისონი რუსის კუთხეში

**2 ივნისს** ატლანტიკ-სიტიში საკმაოდ საინტერესო ბრძოლა გაიმართება სულტან იბრაგიმოვსა და შენონ ბრიგსს შორის. ახალგაზრდა რუსი ეცდება, WBO-ს ტიტული წაართვას ამერიკელს და თუ მოახერხა, მძიმე წონაში ყველა ქამარი ისევ პოსტსაბჭოელ მუშტის მქნეველთა ხელში აღმოჩნდება.

ამერიკელები ამ ბრძოლას ლამის საკუთარი კრივის პრესტიჟის დაცვის უკანასკნელ საშუალებად მიიჩნევენ და ბრიგსს მაგრადაც უჭერენ მხარს. მაგრამ იანკთა შორის ისეთებიც არიან, რომლებიც პატრიოტიზმს არად დაგიდევენ და იბრაგიმოვს გულშემატკივრობენ — მაგალითად, ასეთების კატეგორიაში გადის მაიკ ტაისონი, რომელიც სულაც რუსის სეკუნდანტის მოვალეობის შესრულებას აპირებს და ბრძოლის დროს მის კუთხეში იდგება. თუმც ცოტა ხნის წინ ნარკოტიკების ტარება-მოხმარებისთვის დაჭერილი „რკინის მაიკისთვის", რომელსაც 27 თვიდან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება და სასამართლომდე კალიფორნია-არიზონას შტატებიდან გასვლის უფლება წართმეული აქვს, ატლანტიკ-სიტიში ჩასვლა უბრალოდ, შინაპატიმრობიდან თავის დაღწევის საშუალება უფროა.

**კახა ლომაშვილი**

# კალძაგესგან შარყოფილნი

## ჯონსის გეგმა: ჯერ ჰენშოუ, მერე კესლერი

**მსოფლიოს** ექსჩემპიონმა ოთხ სხვადასხვა წონაში როი ჯონს-უმცროსმა რინგზე დაბრუნება რომ გადაწყვიტა, ამის თაობაზე უკვე გაცნობეთ. ამ ლეგენდარულმა მუშტის მქნეველმა დასაბრუნებლად მეორე საშუალო წონა არჩია და მაშინვე დაიწყო მოლაპარაკებები WBO-ს ვერსიით ჩემპიონ ჯო კალძაგესა და მის შტაბთან ბრძოლის გამართვის თაობაზე. თითქოს ამას წინ არაფერი უნდა დადგომოდა, მაგრამ ჯონსის თქმით, კალძაგეს შტაბმა მოლაპარაკებები შეაჩერა. ამერიკელმა მხოლოდ ამის შემდეგ მიაპყრო ყურადღება დანიელ მიკელ კესლერს, რომელიც დღესდღეობით ამავე წონაში WBC-სა და WBA-ს ქამრების მფლობელია.


როი ჯონს-უმცროსი

როგორც აღმოჩნდა, ჯონსთან რინგზე დატაკების წინააღმდეგი არც კესლერია. თურმე ამერიკელის არ იყოს, დანიელიც კალძაგესთან აპირებდა ჩხუბს, მაგრამ ბრიტანელმა კესლერის წინადადებაზეც თავი შეიკავა. ასე რომ, კესლერ-ჯონსის ბრძოლა თითქმის გადაწყვეტილი ამბავია.

„ჯონსთან ჩხუბი ჩემთვის დიდი პატივია. ფლოიდ მეივეზერთან ერთად როი ჩემი კერპია" — გახარებულია კესლერი.

დანიელამდე კი ჯონსს ამერიკელ ენტონი ჰენშოუსთან მოუწევს დაჯახება — ეს ჯახი 14 ივლისს გაიმართება და მხოლოდ ამის შემდეგ მიეცემა როის ქამრისთვის, ანუ კესლერთან ბრძოლის უფლება

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ფოფხაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე
გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge